საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

პარასკევი, 17 იანვარი. 2020 წ. №8 (8934) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი

იმისთანა ჭმინდა საქმეში, რიგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბუტთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

„ოცნების“ ხელისუფლებავ!

ან მოაშორეთ საქართველოს ეს გამიზნულად ანტიქართული მატყუარა, ნაცების მხარდამჭერი არასამთავრობო ორგანიზაციები,ან თქვენ მოგაშორებთ ქართველი ხალხი (2020 წელსვე!) მართვის საფეხურებს!

ეს დემოკრატია არ არის, ეს 3500-წლოვანი უძველესი ერის აბუჩად აგდება და დღევანდელი მოსახლეობის უმრავლესობის (მინიმუმ 70 პროცენტი) ფიზიკურად განადგურებისკენ გაღაღგმული ნაბიჯია.

სიტყვითმკვლელობა ყოველგვარ მოკვდინებაზე უფრო უარესი და უსაძაგლესია, რადგანაც, უპირველესად იყო სიტყვა! სიცრუე გვსპობს, მართალი სიტყვა გვაცოცხლებს!

უმრავლესობა „HUMAN RIGHTS WATCH“-ის წყაროების გადამოწმებას ურჩევს!

„Human Rights Watch“ 2019 წლის ანგარიშში, რომელშიც 5 გვერდი საქართველოს ეთმობა, აღნიშნულია, რომ საქართველო პოლიტიკური დაძაბულობით და ხანგრძლივი საპროტესტო აქციებით გამოირჩეოდა, რომელიც საარჩევნო სისტემის რეფორმირების მოთხოვნით იმართებოდა. ასევე აღნიშნულია, რომ 20 ივნისში მეტწილად მშვიდობიანი აქციები ხელისუფლებამ არაპროპორციული ძალის გამოყენებით დაშალა.

„დემონსტრანტები მოითხოვდნენ ვადამდელი არჩევნების ჩატარებას და არსებული შერეული საარჩევნო სისტემის შეცვლას, რომელიც მმართველი პარტიისთვის უპირატესად ხელსაყრელია. შეშფოთებას იწვევდა სხვა საკითხებიც, მათ შორის შრომის კანონმდებლობის არასაკმარისი რეგულაციები, რაც რისკს უქმნის დასაქმებულთა უსაფრთხოებას; მედიაპლურალიზმის შეზღუდვის საფრთხე; გაუმართლებლად მკაცრი ანტინარკოტიკული კანონმდებლობა; ასევე, ლესბოსელი, გეი, ბისექსუალი და ტრანსგენდერი (ლგბტ) ადამიანების დისკრიმინაცია“, — აღნიშნულია **„ჰიუმან რაითს ვოჩი“**-ს ანგარიშში.

გავლენიანი საერთაშორისო ორგანიზაციის კრიტიკულ ანგარიშს არ ეთანხმება მმართველი გუნდი. უმრავლესობის საპარლამენტო ლიდერის **მამუკა მდინარაძის** შეფასებით, საერთაშორისო ორგანიზაციებს მოუწევთ თავიანთი წყაროების კარგად გადამოწმება, რომ კრიტიკის გამო უხერხულ მდგომარეობაში არ ჩავარდნენ. მისი თქმით, **„ჰიუმან რაითს ვოჩმა“** ანგარიშში შეუსაბამობაზე პასუხი უნდა მოსთხოვოს იმას, ვინც ეს ინფორმაცია მიაწოდა.

„ალბათ, ამ დასკვნის შემდგენს წარმოდგენაც კი არ შეეძლებოდა, რომ მის გამოქვეყნებამდე ორი დღით ადრე, ყოფილი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი პირდაპირ ეთერში აღიარებდა ხელისუფლების დამხობის მცდელობას. მგონია, რომ საერთაშორისო ორგანიზაციებს მომავალში მოუწევთ თავიანთი წყაროების კარგად გადამოწმება, რათა ისეთ უხერხულ მდგომარეობაში არ ჩავარდნენ, როგორშიც ვარდებიან კონკრეტული კრიტიკული შენიშვნების გამო.

„ჰიუმან რაითს ვოჩი“ არის ორგანიზაცია, რომელიც მხოლოდ განუსჯელი კრიტიკისკენ არის მიდრეკილი. აკრიტიკებს ძალიან განვითარებული ქვეყნების ბევრ ხელისუფლებას. ეს მისი სტილია, გასაგებია, მაგრამ აქვს მხოლოდ ის ინფორმაცია, რომელსაც ამ ქვეყნების არასამთავრობო და უფლებადამცველი ორგანიზაციები აწვდიან. მათ ერთმანეთში გარკვეული ნდობა აქვთ. როდესაც ამ ნდობას რაღაც საფრთხე შეექმნება, ეს ჩვენს ქართულ არასამთავრობო ორგანიზაციებს არ უნდა აწყობდეთ“, — აცხადებს **მამუკა მდინარაძე**.

უმრავლესობის წევრის **რომან კაკულიას** შეფასებით, ასეთი ტიპის ანგარიში მიანიშნებს იმ სექტორებზე, სადაც დამატებითი ყურადღებაა საჭირო. როგორც დეპუტატი აცხადებს, პრობლემა არსებობს, მაგრამ ობიექტურობა ყოველთვის არ არის, გაზვიადებული თემაა, რადგან მისივე თქმით, სამწუხაროდ, არსებობენ პოლიტიკოსები, რომლებიც ყველაფერს აკეთებენ, რათა „ქვეყნის ხელისუფლების იმიჯი ნებისმიერი მეთოდებით გაანულონ“.

მისი თქმით, ამ პრინციპს და ვერტიკალს ამ ტიპის „პოლიტიკოსებს“ იცნობს და შეუძლია, რამდენიმე ადამიანი წარმოადგინოს, რა ტექსტით მიიღო მონაწილეობა ამ ანგარიშის ფორმირებაში.

„საზოგადოება უნდა მიხვდეს, რომ ადამიანები, რომლებიც გარედან ცდილობენ დასაყრდენის მოძიებას, რათა შემდეგ ხელისუფლებაში მოვიდნენ, ერთხელ უკვე არ გამოადგნენ ამ ქვეყანას. ეს გაკვეთილი უნდა გავიგოთ. რაც შეეხება ხელისუფლების შეცდომებს, მიუღწეველ მიზნებს და დაშვებულ უზუსტობებს, რა თქმა უნდა, ამის დანახვა აუცილებელია“, — აცხადებს რომან კაკულიამ.

როგორც ყოველთვის, „ჰიუმან რაითს ვოჩის“ შეფასებით „გახარებულ“ ოპოზიციაში თვლიან, რომ ეს ანგარიში შავი ლაქაა „ქართული ოცნების“ და ბიძინა ივანიშვილის ხელისუფლებისთვის.

„ევროპული საქართველოს“ წევრი **სერგი კაპანაძე** აცხადებს, რომ 20 ივნისთან დაკავშირებით, ძალიან ცალსახად აქვს პოზიცია დაფიქსირებული, რომ ეს იყო მშვიდობიანი დემონსტრაცია, რომელსაც მოჰყვა დარბევა პოლიციის მხრიდან და, რომ პასუხისმგებლობები განაწილდა არათანაბრად. კაპანაძის განცხადებით, ივანიშვილის მმართველობის პირობებში დემოკრატია უკან მიდის და ეს არ რჩება შეუმჩნეველი პარტნიორების მხრიდან.

„ყურადღება მივაქციოთ იმას, რომ უკვე ყველა აკრიტიკებს ხელისუფლებას, ჩვენი საერთაშორისო პარტნიორები, აშშ-ის კონგრესმენები, ევროპარლამენტარები და უკვე მნიშვნელოვანი საერთაშორისო გამომცემლობები, არასამთავრობო ორგანიზაციები, როგორიც არის Human Rights Watch. ეს ნიშნავს იმას, რომ ის სერიოზული პრობლემები, რომელიც ქვეყანაში დემოკრატიული კუთხით არის, არ რჩება შეუმჩნეველი საერთაშორისო ასპარეზზე.

„ნაციონალური მოძრაობის“ წევრის **სალომე სამადაშვილის** განცხადებით, ანგარიშს კითხულობს ნებისმიერი ადამიანი, ვისაც სურს, გაერკვეს, ქვეყანაში რა ვითარებაა ადამიანის უფლებების კუთხით. როგორც სამადაშვილი აცხადებს, ანგარიშში ძალიან დეტალურად არის საუბარი იმ ვითარებაზე, რაც ქვეყანაშია შექმნილი თავისუფალი მედიის თვალსაზრისით, მათ შორის ნიკა გვარამიას საქმეზე.

„მნიშვნელოვანია, რომ ასევე აღნიშნავენ სტრასბურგის გადაწყვეტილების შედეგს ჩვენს ქვეყანაში, ჩვენ დიდი ხანია ვამბობთ, რომ ამ გადაწყვეტილებამ რეალურად, ნეგატიური ეფექტი იქონია ქვეყანაში მედია გარემოზე. რაც შეეხება 20 ივნისს, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ხელისუფლება კვლავ იყენებს ამ მოვლენას პოლიტიკურ ოპონენტებზე თავდასხმისა და მათი სამართლებრივი დევნისთვის“.

საიას თავმჯდომარის **სულხან სალაძის** შეფასებით, დოკუმენტში ასახულია ყველა ის პრობლემური საკითხი, რომელზეც ისინი მთელი წლის განმავლობაში საუბრობდნენ. ანგარიშში ძირითადი აქცენტი 20 ივნისს პარლამენტის წინ განვითარებულ მოვლენებზე კეთდება. სალაძის განცხადებით, ანგარიში იმის დასტურია, რომ ყველა საქმის გამოძიება ობიექტურად და გამჭვირვალედ უნდა ხდებოდეს.

პოლიტიკური ბოროტების შესახებ საქართველოში 5

დასავლეთმა რომ შეგვამჩნიოს, საჭიროა მომიტინგეთა სისხლი!..

ებრაულ-აზერბაიჯანული ხიდი საქართველოზე გადის! 6 7

ქართველ ებრაელთა თემი აზერბაიჯანში

გენერალური პროკურორის თანამდებობაზე ირაკლი შოთაძის კანდიდატურაც წარადგინეს

საპროკურორო საბჭოს საქართველოს გენერალური პროკურორის ვაკანტურ თანამდებობაზე კიდევ ორი კანდიდატი წარედგინა. იურისტმა დავით კოდანაშვილმა საპროკურორო საბჭოს პირადად მიმართა საქართველოს გენერალური პროკურორობის კანდიდატად დარეგისტრირების განაცხადით.

იურისტ ირაკლი შოთაძის კანდიდატურა კი საპროკურორო საბჭოს საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა „საქართველოს ტექნიკურმა უნივერსიტეტმა“ წარუდგინა.

დღეისთვის საქართველოს გენერალური პროკურორის ვაკანტურ თანამდებობაზე საპროკურორო საბჭოსთვის 9 კანდიდატია წარმოდგენილი.

ჰოდა, ძრწოდეთ ნაცებო! ის კაცი ბრუნდება, თქვენს სისხლიან ხელებს და ვერაგულ სახეს რომ აჩვენებს საზოგადოებას!!

„ძალიან კარგი ამბავია! შოთაძე იყო ის გენერალური პროკურორი, რომელმაც გახსნა ვაზაგაშვილის, გირგვლიანის, რობაქიძის, იურა ვაზაგაშვილის წამებით მკვლელობის საქმეები. ირაკლი შოთაძემ გახსნა ციხეებში სისტემური წამების საქმეები. ირაკლი შოთაძემ გაასამართლა საკაშვილი და ყოფილი მაღალჩინოსნები. ამიტომ უტევდნენ ნაცები გაშმაგებულები და იმ საქმეს გადააყოლეს, რომელშიც ყველაზე ნაკლებად იყო დამნაშავე.

ჰოდა, ძრწოდეთ ნაცებო! ის კაცი ბრუნდება, თქვენს სისხლიან ხელებს და ვერაგულ სახეს რომ აჩვენებს საზოგადოებას!!!“, — წერს ექსპერტი გია აბაშიძე. შეგახსენებთ, გუშინ ცნობილი გახდა, რომ გენერალური პროკურორის პოსტზე 9 კანდიდატი წარადგინეს. მათ შორის, თანამდებობიდან გადამდგარი ირაკლი შოთაძე.

საპენსიო სააგენტოს დროებით გიორგი ჭიჭინაძე უხელმძღვანელებს

საპენსიო სააგენტოს დირექტორის ლევან სურგულაძის მოვალეობას გიორგი ჭიჭინაძე შეასრულებს. ჭიჭინაძეს 2018 წლიდან დირექტორის მოადგილის პოსტი ეკავა. ახალი მმართველის შერჩევამდე კი, ის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი იქნება.

საპენსიო სააგენტოს დირექტორის ვაკანტურ თანამდებობაზე განაცხადების მიღება უკვე დაიწყო და 31 იანვრამდე გაგრძელდება. დირექტორის ყოველთვიური ანაზღაურება 10 000-დან 15 000 ლარამდე იქნება.

შეგახსენებთ, სურგულაძე აღნიშნულ თანამდებობაზე 5 წლის ვადით იყო არჩეული, თუმცა მან ვადაზე ადრე გადადგომა ამჯობინა, მიზეზად კი „სხვა გეგმების“ არსებობა დაასახელა.

ირაკლი ოქრუაშვილი პატიმრობაში რჩება

თბილისის საქალაქო სასამართლომ პარტია „გამარჯვებული საქართველოს“ ლიდერი, თავდაცვის ყოფილი მინისტრი ირაკლი ოქრუაშვილი პატიმრობაში დატოვა.

გუშინდელ სხდომაზე გამოიკითხნენ ბრალდების მოწმეები, შსს-ს პრესსამსახურის ერთი თანამშრომელი და ორი გამომძიებელი. მათ ისაუბრეს ჩატარებულ გამოძიებასა და 20 ივნისს გადაღებული მოვლენების ამსახველ ვიდეოზე. სხდომას ირაკლი ოქრუაშვილი არ ესწრებოდა. სასამართლომ ირაკლი ოქრუაშვილს აღკვეთის ღონისძიება გასული წლის ნოემბრის ბოლოს გამართულ სხდომაზეც არ შეუცვალა. „გამარჯვებული საქართველოს“ ლიდერი ირაკლი ოქრუაშვილი ჯგუფური ძალადობის ორგანიზების, ხელმძღვანელობისა და მასში მონაწილეობის ბრალდებით 2019 წლის 25 ივლისს დააკავეს. საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ 2019 წლის 20 ივნისის მოვლენებზე გამოძიება ამბოხებისა და ხელისუფლების დამხობის მუხლით გადააკვალიფიცირა.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსი საქართველოში ბრიტანეთის ელჩს შეხვდა

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსმა გრიგოლ ლილუაშვილმა საქართველოში დიდი ბრიტანეთის და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს ელჩთან ჯასტინ მაკენზი სმიტთან შეხვედრა გამართა. შეხვედრას ესწრებოდა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრტერორისტული ცენტრის უფროსი ირაკლი ჩიმაკაძე.

შეხვედრაზე მხარეებმა საქართველოსა და დიდ ბრიტანეთს შორის უსაფრთხოების სფეროში არსებული თანამშრომლობის საკითხებზე ისაუბრეს. გრიგოლ ლილუაშვილმა და ჯასტინ მაკენზი სმიტმა მსოფლიოსა და რეგიონში მიმდინარე პროცესები მიმოიხილეს. სუს-ის ინფორმაციით, საუბარი შეეხო საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურსა და დიდი ბრიტანეთის შესაბამის სახელმწიფო უწყებებს შორის არსებული თანამშრომლობის განმტკიცების მნიშვნელობასა და მომავალ გეგმებს.

„სტუმარ-მასპინძელი“ არ გისწავლიათ, ბატონო გუბაზ?

თქვენ როცა საშუალო სკოლაში სწავლობდით, აუცილებლად გაივლიდით ვაჟა-ფშაველას უკვდავი შემოქმედებიდან „სტუმარ-მასპინძელს“. ქართულის მასწავლებელმა ალბათ აგიხსნათ ეს ნაწარმოები, დავალებაც მოგცათ დამოუკიდებლად წაგეკითხათ და შემდეგ კლასის წინაშე მოგეყოლათ შინაარსი, გაგერჩიათ და აზრი გამოგეტანათ წაკითხულიდან.

ტელეკომპანია „კავკასიის“ გადაცემებში თქვენი ბოლო ინტერვიუები ცხადჰყოფენ, რომ თქვენ თავის დროზე ვაჟა-ფშაველას გენიალური ქმნილების მთავარი აზრი ვერ გაგიგიათ.

დღეს მაინც რომ იცოდეთ, რა აზრია ჩაქსოვილი სტუმარ-მასპინძელში, გავრილოვის პარლამენტის თავმჯდომარის სავარძელში ჩაჯდომას ასეთ უნიჭოდ დადგმულ ტრაგედიად არ აღიქვამდით და ასეთი სალანძღავი სიტყვებით არ მოიხსენიებდით მათ, ვინც გავრილოვს „უმასპინძლა“.

უბედურებაა ისიც, რომ თქვენ, ასეთი ცოდნისა და ლექსიკის პატრონი თურმე ლექტორიც ბრძანდებით და სტუდენტებს ასწავლით. შედეგი სახეზეა: ჩვენი დასავლეთელი პარტნიორები ამტკიცებენ, რომ საქართველოში მოსწავლეებს და სტუდენტებს წაკითხულიდან აზრი ვერ გამოაქვთ.

თქვენისთანა მასწავლებლები და ლექტორები თუ ასწავლიან ჩვენს მოსწავლეებს და სტუდენტებს... რაღას ითხოვენ მათგან?

თქვენ, ბატონო გუბაზ, მოუშორებელი შავი ჭირი მიხეილ სააკაშვილი „ფაქტორად“ მიგაჩნიათ, მისი ჩამოყვანისთვის იბრძვით და მეორედ გსურთ პარლამენტარობა.

თქვენივე აღიარებით, როცა არ იცით ქვეყნის ეკონომიკა და იურისპუდენცია, ვერ ერკვევით ქართველ კლასიკოსთა შემოქმედებაში და მაინც პარლამენტარობა გსურთ, ეს იმას ნიშნავს, რომ თქვენ ქართველი ხალხის ინტერესები და მისი მომავალი სულ ფეხებზე გკიდიათ.

თქვენ და თქვენისთანებს, რომელთა რაოდენობა საკმაოდ დიდია, მკაცრ პასუხს მოსთხოვენ ის ახალგაზრდები, რომლებიც უკვე ვეღარ იტანენ თქვენს უზნეობას, არაკაცობას და მოღალატურ პოლიტიკურ ბჟუტურს!..

ნუგზარ კობახიძე,
დმანისიდან.

ძნელად დასაჯერებელი სუნი, მაგრამ ...

ბევრი რამ უცნაური წამიკითხავს — ვგულისხმობ უაზრო, დაუჯერებელ, არაესთეტიკურ და სხვა მსგავს ამბებს, რომლებსაც ნორმალური ადამიანის ქმედებებთან საერთო არაფერი აქვს. ამიტომაც, თითოეული ასეთი პიროვნება კი „შემიმკია“ გუნებაში, ზოგჯერ — ხმამაღლადაც, მაგრამ გაზეთში გამოხმაურება არასდროს აზრადაც არ მომსვლია.

ეს პირველი შემთხვევაა, ნამდვილად უჩვეულო — მკითხველი დარწმუნდება, თუ სადამდე შეიძლება მივიდეს ე.წ. გამოხატვის თავისუფლებამინიჭებული აწყვეტილი თუ ატეხილი ადამიანი, მსოფლიოში ცნობილი სახეც კი!

ჰოლივუდის ვარსკვლავმა, „ოსკარის“, „ოქროს გლობუსის“ და „ემის“ პრემიების ლაურეატმა, 47 წლის ქალბატონმა **გვინეტ პელტროუმ** თავისი კომპანიის (Goop) ინტერნეტგვერდზე გასაყიდად დადო ერთობ უჩვეულო საქონელი: სასაჩუქრე სურნელოვანი სანთელი სახელწოდებით ... **„ჩემი საშოს სუნი“!**

75-დოლარიანი ამ სანთლის მთელი მარაგი უცებ გაიყიდა! სწრაფი ტემპით მიდის ახალი პარტიის დამზადება. დარწმუნებული ვარ — სხვადასხვა სურნელოვანი მცენარეების თაიგულის სუნის მქონე სანთელს არავითარი შეხება არ ექნება ქ-ნ გვინეტის საშოსთან, მაგრამ კაცს მაინც გაგაოგნებს შემდეგი: პირველი — **როგორ უნდა გამოგათაყვანოს ფულმმა და სექსმა მილიონერი ვარსკვლავი,** რომ დაივიწყო ყოველგვარი ეთიკური ნორმები და სანთელს ასეთი ყოვლად უხამსი, საზოგადოების შეურაცხმყოფელი სახელი მოუძებნო;

მეორე — **როგორი ტვინმოღრეცილი, ანუ ასევე სექსზე ჭკუადანთხეული უნდა იყოს ამერიკელების რაღაც ნაწილი (არცთუ პატარა), რომ ამგვარი ნივთი დაიტაცოს, ხოლო მეორე, ბევრად უფრო დიდი ნაწილი კი — იმდენად გულგრილი,** რომ ასეთი შეურაცხმყოფელი სახელწოდების მქონე საქონლის შეთავაზებაზე **პროტესტიც კი არ გამოთქვას არავინ.** შენი საშოს, იღლიის თუ სხვა ადგილის სუნის მქონე (თუნდაც, მხოლოდ სახელწოდების!) ნაწარმის გასასაღებლად გამოტანა საზოგადოების მიმართ პატივისცემის გამოხატვა რომ არ არის, ვფიქრობ, ყველა ნორმალური ფსიქიკის ადამიანისთვის ნათელია;

მესამე — ალბათ, მკითხველი დამეთანხმება, რომ **ყველაფერი ამერიკის ხელისუფლების მიერ სახელმწიფოში გატარებული ლიბერასტული პოლიტიკის შედეგია** — იმ პოლიტიკის და იმ ცხოვრების წესის, რასაც იგი მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში ძალადობრივი გზით ამკვიდრებს.

საყურადღებოა, ვინ იქნება პირველი, ჩვენი ცნობადი და ამერიკული ცხოვრების სტილის მიმბაძველი ლიბერასტი ქალბატონების გუნდიდან, რომელიც ყველას დაასწრებს და ამ ნაწარმის იმპორტთან ერთად საკუთარსაც შექმნის — **გვინეტზე ნაკლები ლიბერასტები და ესთეტები გვყავს თუ რა!**

იაკობ ლეჟავა,
15 იანვარი, 2020

ირაკლი ქარსელაძე: ანაკლიამდე ახალი გზა რომ ავაშენოთ, პორტი უნდა არსებობდეს

„ანაკლიის განვითარების კონსორციუმთან“ ხელშეკრულების შეწყვეტის გამო, ანაკლიამდე ახალი რკინიგზისა და გზის მშენებლობა ამ ეტაპზე დღის წესრიგი აღარ დგას, — ამის შესახებ ჟურნალისტებს ინფრასტრუქტურის მინისტრის პირველმა მოადგილემ, გზების დეპარტამენტის თავმჯდომარემ ირაკლი ქარსელაძემ განუცხადა.

„გზის და რკინიგზის მშენებლობა იყო ის ვალდებულება, რომელიც სახელმწიფოს კონკრეტულად ამ ხელშეკრულების შესაბამისად და ამ პორტისთვის უნდა აეშენებინა.პორტის გარეშე გზა უკვე არსებობს. უფრო მეტიც, 2018-2019 წლებში ძალიან მნიშვნელოვანი პროექტები განვახორციელეთ არსებულ გზაზე და ანაკლიის მოსახლეობას გადაადგილების და კომუნიკაციის პრობლემა საერთოდ არ აქვს. წელსაც დაგეგმილი გვაქვს კიდევ ერთი მონაკვეთის რეაბილიტაცია ზუგდიდი-ანაკლიის გზაზე. შესაბამისად, აუცილებელია, არსებობდეს პორტი იმისთვის, რომ ავაშენოთ ახალი გზა. სხვა შემთხვევაში, კარგი გზა განმუხურის, ანაკლიის მოსახლეობისთვის უკვე არსებობს“, — აღნიშნა ქარსელაძემ.

მისივე ინფორმაციით, ანაკლიამდე ახალი გზისა და რკინიგზის პროექტი უკვე მზად არის და მისი ტექნიკური დამუშავება მიმდინარეობს.

დავით სერგეენკო C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამაზე განმარტებებს აკეთებს

ჯანდაცვის ყოფილმა მინისტრმა დავით სერგეენკომ C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამასთან დაკავშირებით განმარტებებით გააკეთა. საუბარია სახელმწიფო აუდიტის დასკვნაზე, რომლის თანახმადაც, C ჰეპატიტის მართვის პროგრამის ფარგლებში საქართველოს მიერ უსასყიდლოდ მიღებული, 560 645 083 ლარის ღირებულების მედიკამენტებს ვადა გაუვიდა.

დავით სერგეენკოს განცხადებით, ამით არც ერთი პაციენტი არ დაზარალებულა. მისი თქმით, 2015-16 წლებში ამ პროგრამაში ჩართვაზე მოთხოვნა უფრო მაღალი იყო, ვიდრე პროგრამის შესაძლებლობები, 2018 წელს სამინისტროს უკვე პაციენტების მოძიება უწევდა. მეორე საკითხი, რომელიც შეეხება პაციენტების მიერ ვადაგასული პრეპარატებით მკურნალობის საკითხს, დავით სერგეენკო ამბობს, რომ ამ პერიოდში პაციენტები ვადაგასული წამლით არ მკურნალობდნენ.

„ამ პერიოდში ჩვენ უკვე შემოსული გვქონდა ახალი პარტია, რომელიც ვადიანი იყო. ყველა დამეთანხმება, რომ ნახევარ მილიარდზე მეტი მედიკამენტი ერთგვარად, ბრუტალურად ჟღერს და უამრავი კითხვა რჩება. შეგახსენებთ, რომ საქართელო ამ მედიკამენტს იღებს უფასოდ. სახელმწიფო აუდიტის სამსახური ვალდებული იყო, რომ რაღაც განფასება გაეკეთებინა ამ დონაციაზე. ვვარაუდობ, რომ მათ აიღეს ვიკიპედიაში ან რაღაც ასეთ პორტალში ნანახი 2016 წლის ფასები, სადაც ეს მართლაც მაღალი ღირებულების არის. 2018 წელს ეს უკვე რვაჯერ ნაკლები ღირდა. თუ იგივე ფასებს ავიღებთ, გამოვა, რომ დღეისათვის ჩვენ უკვე 17 მილიარდი ლარის მედიკამენტი გვაქვს დახარჯული იმ 65 ათასი პაციენტის მკურნალობაზე“, — განაცხადა დავით სერგეენკომ.

სერგეენკო აცხადებს, რომ მედიკამენტების ვადაგასულობასთან დაკავშირებით, უწყებას პარტნიორებთან კომუნიკაცია ჰქონდა და მათ ამის შესახებ იცოდნენ. **„ჩვენ გვქონდა შეთავაზება, რომ სხვა ქვეყნისთვის გადაგვეცა (მედიკამენტი) ეს ნაწილი დონაციის სახით. თუმცა მათ ხაზი გაუსვეს, ეს არის მხოლოდ საქართველოს ექსკლუზივი მედიკამენტი და უფასოდ მთელ დედამიწაზე აქვს მხოლოდ საქართველოს“,** — განაცხადა დავით სერგეენკომ.

სერგეენკოს განმარტებით, 2018 წელს იყო 30 ათასამდე ადამიანი, რომელმაც იცოდა რომ ჰქონდა C ჰეპატიტი, თუმცა ამა თუ იმ მიზეზით არ ერთვებოდა მკურნალობაში. **„დღეის მდგომარეობით, ასეთი არის 30 ათასი ადამიანი. მე ყოველთვის ვცდილობ, დავიცვა ექიმის კოდექსი, რომელთაგან ერთ-ერთი წესი ამბობს, რომ თუ ექიმმა რაღაც აუხსნა პაციენტს, მაგრამ მან არ გააკეთა ეს, არავითარ შემთხვევაში არ დაადანაშაულო პაციენტი, ამ შემთხვევაშიც იგივე ლოგიკაა. მე ამ ადამიანებს არ ვადანაშაულებ, უბრალოდ, კიდევ ერთხელ ვთხოვ, რომ ეს შესაძლებლობა გამოიყენონ“,** — განაცხადა დავით სერგეენკომ.

რიკოთის საუღელტეხილო გზა სამ წელიწადში დასრულდება

ГЗИС ВОЛО МОНАКВЕТИС МШЕНЕБЛОБАЗЕ ХЕЛШЕКРУЛЕБА ГАФОРМДА

საავტომობილო გზების დეპარტამენტმა რიკოთის საუღელტეხილო გზის ბოლო, მეოთხე მონაკვეთის მშენებლობაზე ხელშეკრულება გააფორმა.

ხელშეკრულება გაფორმდა შორაპანი-არგვეთას (F4) მონაკვეთის მშენებლობისთვის გამოცხადებულ საერთაშორისო ტენდერში გამარჯვებულ ერთობლივ საწარმოსთან — Guizhou Highway Engineering Group და China National Technical Import and Export Corporation.

ხელშეკრულებას საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის პირველმა მოადგილემ, საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარემ ირაკლი ქარსელაძემ, კომპანიის — Guizhou Highway Engineering Group გენერალური მენეჯერის მოადგილემ მუ ჟინვეიმ და კომპანიის — China National Technical Import and Export Corporation მარკეტინგის დეპარტამენტის გენერალური მენეჯერის მოადგილემ იანგ ბინგმა მოაწერეს ხელი.

რეგიონული განვითარების სამინისტროს ინფორმაციით, **რიკოთის საუღელტეხილო გზის შორაპანი-არგვეთას მონაკვეთის მშენებლობას 582 777 310 ლარით „აზიის განვითარების ბანკი“ აფინანსებს. ამ მონაკვეთზე აშენდება 14.7 კმ. ცემენტ-ბეტონის ოთხზოლიანი გზა, 14 ხიდი და 12 გვირაბი. სამუშაოების დასრულებას სამი წელი დასჭირდება. შორაპანი-არგვეთას მონაკვეთის 14.7კმ-იანი გზა ავტოტრანსპორტს გაუადვილებს მთაგორიან მონაკვეთებში, ხევებსა და მდინარეებზე გადაადგილებას.** ამჟამად, რიკოთის საუღელტეხილო გზის ორ მონაკვეთზე სამშენებლო სამუშაოები აქტიურად მიმდინარეობს, ხოლო ერთ მონაკვეთზე დაწყებულია სამობილიზაციო სამუშაოები.

სამინისტრო აღნიშნავს, რომ **რიკოთის საუღელტეხილო გზის მშენებლობაზე, საერთო ჯამში 5 000-ზე მეტი ადამიანი დასაქმდება და დასაქმებულთა 80 პროცენტი საქართველოს ადგილობრივი მცხოვრები იქნება. რიკოთის უღელტეხილზე, საერთო ჯამში დაგეგმილია 51.6 კმ-მდე სიგრძის გზის მშენებლობა, რომელიც 96 ხიდსა და 53 გვირაბს მოიცავს.**

ხულო-ზარზმის გზის რეაბილიტაცია გაზაფხულიდან გააქტიურდება

„ამჟამად ხულო-ზარზმის მონაკვეთზე კლიმატური პირობების გამო, შეუძლებელია რამე სამუშაოების წარმოება. თუმცა, პროგრესი აღნიშნულ მონაკვეთზე უკიდურესად სუსტია. შესაბამისი ხელშეკრულების ფარგლებში, ორივე ლოტზე, გამოსწორებასთან დაკავშირებით შეტყობინებები კომპანიასთან გაიგზავნა, რაც მათ აუცილებლად მყისიერად უნდა გამოასწორონ, როგორც კი კლიმატური პირობების გათვალისწინებით ამის შესაძლებლობა ექნებათ“, — აღნიშნა ქარსელაძემ.

საუბარია იტალიურ კომპანია „ტოდინი“-ზე, რომელსაც ავტობანის სამტრედია-გრიგოლეთის მონაკვეთიც უნდა აეშენებინა, თუმცა სამუშაო ვერ შეასრულა და მასთან ხელშეკრულება შეწყდა. ირაკლი ქარსელაძის განცხადებით, სამტრედია-გრიგოლეთის მონაკვეთზე ხელშეკრულება 2019 წელს შეწყდა, რა დროისთვისაც ხულო-ზარზმის მონაკვეთზე ტენდერი უკვე ჩატარებული და ხელშეკრულება გაფორმებული იყო.

პლასტმასის ბოთლებით, პოლიეთილენის პარკებით, მუყაოს ყუთებითა და სხვა საყოფაცხოვრებო ნარჩენებით დანაგვიანებული მდინარე რიონის სანაპირო განსკუთრებით თვალშისაცემია ზამთარში, როცა მდინარეში წყლის დონე დაკლებულია. ნაგავს სანაპიროს მახლობლად მცხოვრები მოსახლეობა ყრის, ან თავად მდინარეს ჩამოაქვს სხვა ადგილებიდან.

ქუთაისში რიონის სანაპირო ყველაზე მეტად დაბინძურებულია ქალაქის ისტორიულ უბანში, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების არეალში, სადაც მდინარის მარცხენა სანაპირო მჭიდროდაა დასახლებული, მარჯვენა ნაპირზე კი ავტოსადგური მდებარეობს. როგორც ახალგაზრდა გიდების ასოციაციის ხელმძღვანელი **ლაშა ბერეკაშვილი** ამბობს, ტერიტორია იმდენად დანაგვიანებულია, რომ ქალაქის ისტორიული ზონის ეს ნაწილი ტურისტული მარშრუტიდან ამოიღეს და იქ ტურისტები აღარ მიჰყავთ: **„რიონის სანაპირო ზოგადად, ეს არის ქუთაისის სავიზიტო ბარათი. ტურისტებმა ქალაქი უნდა შეიგრძნონ იმ სიძველითაც, რომელიც ამ სანაპიროსთანაა დაკავშირებული. მთლიანად ამოგდებულია ქუთაისის ტურისტული მარშრუტებიდან იმიტომ, რომ ტურისტებს ამ სიბინძურეს ვერ ვანახებთ“.**

ისტორიული ჯაჭვის ხიდიდან, საიდაც მდინარე რიონის სანაპირო საყოფაცხოვრებო ნარჩენებითაა დაბინძურებული, ერთ-ერთი საფეხმავლო გზა ბაგრატის ტაძრისკენ მიდის. ამ ძეგლს დამთვალიერებელი მრავლად ჰყავს. ხიდის მიმდებარედაა საქალაქთაშორისო სადგური, საიდანაც ავტობუსები რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთისკენ მიემართებიან. ჯაჭვის ხიდის მახლობლად მდებარე სავაჭრო ობიექტებში დასაქმებულები ამბობენ, რომ **„ნარჩენების სიმრავლე თვალშისაცემია, როცა რიონში წყლის დონე იკლებს, სხვა დროს კი ნაგავს მდინარის წყალი რეცხავს“.**

ქუთაისელების ნაწილი ფიქრობს, რომ რიონის სანაპიროს მოვლაზე იქ მცხოვრებმა მოქალაქეებმა თავად უნდა იზრუნონ, ნაწილი კი ამბობს, რომ **„თუ მუნიციპალური სამსახურები მდინარის კალაპოტს გაწმენდენ, მოსახლეობა ნარჩენებს აღარ გადაყრის“.**

ქუთაისის მერიას დაქვემდებარებული კომპანია „სპეციალური სერვისები“ მხოლოდ ქალაქის ქუჩების დასუფთავებაზეა პასუხისმგებელი. კომპანიის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელი **გიორგი მჟავანაძე** განმარტავს, რომ მდინარის ხეობებისა და კალაპოტის გაწმენდა და მოვლა-პატრონობა მათ უფლება-მოვალეობებში არ შედის, თუმცა ქალაქის ისტორიულ უბანში, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების არეალში მოქცეულ სანაპიროს პერიოდულად, სხვადასხვა აქციის ფარგლებში ასუფთავებენ. გიორგი მჟავანაძის ინფორმაციით, ბოლოს ტერიტორია ნოემბერში გაიწმინდა. მჟავანაძის თქმით, მერიამ სანაპიროსთან ნაგვის კონტეინერები განათავსა, რათა მოსახლეობას ნარჩენების გადაყრის პრობლემა არ ჰქონდეს.

რიონის გარდა, ქუთაისში ორი მდინარეა — ოღასკურა და რუა. საყოფაცხოვრებო ნარჩენებით დაბინძურება ყველა სანაპიროზე თვალშისაცემია. განსაკუთრებით იქ, სადაც მოსახლეობა ცხოვრობს. ხშირი წვიმის დროს მდინარეებში მომატებულ წყალს ნარჩენები მიაქვს, შემდეგ ან სხვა ადგილას ტოვებს, საბოლოოდ კი — შავ ზღვაში. მდინარის ნაპირზე ამოსულ ხეებსა და ბუჩქებზე პოლიეთილენის პარკები დიდი ხნით რჩება.

თამთა კაჭკაჭიშვილი

ჩორჩანას ლაბირინთი

წაღვლი-ჩორჩანას მიმდებარედ, რაც ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიას წარმოადგენს, რუსმა მესაზღვრეებმა დამატებითი ფართი მიისაკუთრეს. მძიმე ტექნიკა ამ ადგილებში, ცვალებადი სიხშირით, გასული წლის 31 აგვისტოს შემდეგ მუშაობს. ტერიტორიაზე, რომელიც მანამდე „საქართველოს კონტროლირებულად“ იყო მიჩნეული, რამდენიმე რუსული საგუშაგო განთავსდა, მოეწყო მისასვლელი გზები, რომლის ნაწილიც შეიღობა. ჩორჩანა-წნელისის მონაკვეთზე რუსული სამხედრო ძალის მიერ წარმოებული სამუშაოების კონკრეტული მოცულობის შესახებ ცნობები მწირია, რადგან აქ გადაადგილების უფლებას ჟურნალისტებსა და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებს შსს უკრძალავს.

საინსტალაციო სამუშაოების განახლება რუსმა ჯარისკაცებმა ჩორჩანასთან ძველით ახალ წელს დაამთხვიეს. ამის შესახებ ინფორმაცია არაოფიციალური წყაროებიდან გავრცელდა. პოლიცია წაღვლი-ჩორჩანას მიმდებარე ტყეში ანტისაოკუპაციო მოძრაობა „ძალა ერთობაშიას“ გადაადგილებას უზღუდავს, თუმცა ისინი დრონით მუშაობას მაინც ახერხებენ. სწორედ მათ შეძლეს იმ ვიზუალური მასალის მომზადება, რაც ცხადყოფს, რომ რუსული ძალები ღობავენ ტერიტორიას, რომელიც 2008 წლის შემდგომ, ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის თანახმად, ფაქტობრივად, არსებული მდგომარეობით, საქართველოს კონტროლირებულ სივრცეს წარმოადგენდა. ანტისაოკუპაციო მოძრაობის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ ქართული საგუშაგო, რომელიც აქ გასული წლის ზაფხულის მიწურულს გაიხსნა, საფრთხის ქვეშაა და მას შემდგომ, რაც გაზაფხულზე ბუნებრივი პირობები ამის შესაძლებლობას შექმნის, ის ოკუპაციის ქვეშ მოექცევა. ისინი ხელისუფლებისგან პრევენციული ზომების გადაუდებელ გატარებას მოითხოვენ.

14 იანვარს პოლიციას ჩორჩანასკენ მიმავალ გზაზე ნაციონალური მოძრაობის გორის ოფისის წარმომადგენლები დაუპირისპირდნენ, თუმცა ხმამაღალ საუბარს შემთხვევა არ გაცდენია. პოლიციამ არც მათ მისცა გზის გაგრძელების უფლება იმისთვის, რომ ვითარება ადგილზე, საკუთარი დაკვირვების შედეგად შეეფასებინათ. ჩორჩანას მიმდებარედ გადაადგილება ჟურნალისტებისთვისაც შეზღუდულია, თუმცა პოლიციის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ მდგომარეობა კონტროლს ექვემდებარება და ადგილზე სიწყნარეა. ამის თაობაზე შსს-ს წარმომადგენელმა კობა ცერცვაძემაც განაცხადა: **„ამჟამად უკანონო ბორდერიზაციის სამუშაოები არ მიმდინარეობს. საოკუპაციო ხაზთან მდებარე სოფლების ჩორჩანასა და წაღვლის მოსახლეობის უსაფრთხოება, მათი მშვიდობიანი ცხოვრება და თავისუფლად გადაადგილება სრულადაა უზრუნველყოფილი შსს-ს მიერ.“**

უსაფრთხოების სამსახური ჩორჩანას მიმდებარედ საოკუპაციო ძალების მიერ „უკანონო ინსტალაციების“ განთავსების შესახებ საუბრობს და აცხადებს, რომ ისინი ცენტრალური ხელისუფლების კონტროლირებად ტერიტორიაზეა განლაგებული. ერთადერთი ბერკეტი, რაც უსაფრთხოების სამსახურს აქვს რეაგირებისთვის, ეს ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის ცხელი ხაზი და ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის ფარგლებში შეხვედრებია, თუმცა ეს ფორმატი, ამ ეტაპზე, შეწყვეტილია. ოსური მხარე მასზე დასწრებაზე უარს ამბობს, **„რადგან ჩორჩანასთან ქართული საგუშაგო ჯერ კიდევ დგას“.**

„ტერიტორიები, რომელიც ჩვენი კონტროლის ქვეშ არ არის, ეს ნიშნავს, ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ გვაქვს ერთადერთი გზა. ესაა დიპლომატიური გზა. კიდევ უფრო ეფექტური დიპლომატიური ქმედებების გზა. მე არაერთხელ მისაუბრია იმაზე, რომ ჩვენ ჟენევის ფორმატი უნდა გავაცოცხლოთ, გავააქტიუროთ, დავუბრუნოთ პოლიტიკური დატვირთვა... ჩვენ გვაქვს მხოლოდ დიპლომატიური ბერკეტები, მხოლოდ მშვიდობიანი გზა. უნდა გამოვიყენოთ ყველა ის საშუალება, რაც არსებობს დედამიწის ზურგზე და ვიყენებთ მაქსიმალურად. ამაზე, შედეგები რომ ვთქვათ, რომ ადგილზე ბერკეტები ახლავე ადგილზე გამოვიყენოთ, ეს არის ის გზა, რაზეც ჩვენ უარი ვთქვით, რადგან ეს არის დაძაბულობის, ესკალაციის და კიდევ უფრო მძიმე სიტუაციის გზა“, — სიტყვასიტყვით, ასეთია პრეზიდენტ ზურაბიშვილის განცხადება ჩორჩანას მიმდებარედ შექმნილი ვითარების თაობაზე.

იმედითა და ოპტიმიზმითაა განმსჭვალული პარლამენტის თავმჯდომარე არჩილ თალაკვაძე: „საქართველო არანაირ პროვოკაციაში არ შევა და ასევე არავითარ დათმობაზე არ წავა თავისი სახელმწიფო ინტერესების ხარჯზე... ეს ყველაფერი წინააღმდეგობაშია საერთაშორისო სამართალთან. რუსეთის ფედერაციას მოუწევს უარი თქვას ოკუპაციაზე და შეასრულოს ის ვალდებულებები, რაც აღებული აქვს, ეს მავთულხლართების კედლები თანდათან უფრო და უფრო შეუთავსებელი გახდება თანამედროვეობასთან და დაიშლება. ჩვენ აღვადგენთ ურთიერთობის ხიდებს აფხაზებთან, ოსებთან, საქართველო გაერთიანდება“.

ჩორჩანას ქართული საგუშაგო პრინციპის საკითხად აქცია დე ფაქტო პრეზიდენტმა ანატოლი ბიბილოვმა და მზადაა, მას ახალგორში მცხოვრები ადამიანების სიცოცხლე და ჯანმრთელობა შესწიროს. ახალგორის გამშვები პუნქტი 4 სექტემბრის შემდეგ ჩაკეტილია. ინფორმაცია ვრცელდება უკვე ათობით ადამიანის შესახებ, ვინც ჯანმრთელობის გაუარესების გამო გარდაიცვალა. ოკუპირებულ დაბაში შესვლა და გამოსვლა შეუძლებელია და ის მოქალაქეები, ვინც მხოლოდ ქართული პენსიით საზრდოობდა, შიმშილის ზღვარზე იმყოფებიან. ბიბილოვის რეჟიმი მათ აიძულებს, დარჩნენ გადაადგილების უფლების გარეშე ან დატოვონ საკუთარი სახლები სამუდამოდ.

ამის თაობაზე ბიბილოვმა თავად ისაუბრა ახალგორელებთან შეხვედრაზე, სადაც ადგილობრივებს, ვინც უმწეობისგან ტიროდა და შველას ითხოვდა, პირდაპირ მოსთხოვა ჩორჩანას ქართული საგუშაგოს აღება. „ამერიკის ხმას“ ახალგორელმა აქტივისმა თამარ მეარაყიშვილმაც (ვინც ასევე მძევალი და ტყვეა ახალგორში) დაუდასტურა, რომ ბიბილოვი ადგილობვრივებს აიძულებს პრემიერ გახარიასადმი წერილის გაგზავნას, რითაც ჩორჩანას საგუშაგოს აღება უნდა მოითხოვონ იმისთვის, რომ მათ გადაადგილების უფლება მიიღონ. ახალგორში, ჰუმანიტარული კრიზისის უმწვავეს პირობებში მყოფი მოსახლეობა ბიბილოვის ულტიმატუმს ამ დრომდე არ თანხმდება.

ნინო დალაქიშვილი

ოკუპირებული ტერიტორიიდან ქართულ სკოლაში მოსწავლეები გადაიპარნენ...

ოკუპირებულ სოფელ ზემო არცევიდან ორი მეათეკლასელი მოსწავლე ქვეშის სკოლაში ყველაზე ადრე მივიდა. ისინი დილაადრიან ადგნენ და, რუსეთის საოკუპაციო პატრულის გვერდის ავლით, ქართულ სოფელში შემოვლითი გზით ჩავიდნენ. ამ ბავშვებისთვის ყოველი დღე საფრთხის შემცველია.

ყოფილა შემთხვევები, როცა მოსწავლეები საოკუპაციო ძალების წარმომადგენლებმა შეაჩერეს და ქართულ სოფელში გადასვლა აუკრძალეს, მაგრამ არცეველ მოსწავლეები ყოველთვის პოულობდნენ ახალ გზებს სკოლამდე მისაღწევად.

„როცა მკაცრი პატრულირებაა რუსების მხრიდან, თავს იკავებენ, რომ გამოვიდნენ სახლიდან. როდესაც შედარებით მსუბუქი პატრულირებაა, ახერხებენ სკოლამდე მოსვლას. ზემო არცევიდან ადგილობრივი მოსახლეობის ბაღებით გადმოდიან, არ უნდათ, რომ ცენტრალური გზით იარონ, შემოვლით გზაში ეს იგულისხმება“, — გვეუბნება სკოლის დირექტორი ლელა ბიბილური.

საოკუპაციო გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფელ ქვეშში სკოლა, რომელშიც ახლა 247 ბავშვი სწავლობს, ორი წლის წინ დაიხურა. შენობა მძიმე მდგომარეობაში იყო და მოსწავლეები მეზობელი სოფლის სკოლაში მეორე ცვლაში გადაიყვანეს. სწორედ ეს იყო არცველი მოსწავლეებისთვის ყველაზე რთული პერიოდი, რადგან სახლში დაბრუნება მავთულხლართების გავლით ღამით უწევდათ.

ქვეშის სკოლა ამერიკის მთავრობის ფინანსური დახმარებით შეკეთდა და თანამედროვე სტანდარტების შენობად იქცა. ორწლიანი პაუზის შემდეგ 15 იანვარს მოსწავლეები პირველად შევიდნენ კლასებში.

გიული ბეთლემიშვილი ქვეშის სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგია. „რადიო თავისუფლებასთან“ საუბარში ის იხსენებს დროს, როცა ამ სკოლის მერხებთან ქართველი და ოსი მოსწავლეები ერთად ისხდნენ. ომის შემდეგ ვითარება რადიკალურად შეიცვალა: ჩაიკეტა გზა, გაწყდა ნათესაური კავშირები, ადამიანები ერთმანეთთან მიმოსვლას ვეღარ ახერხებენ და ეს ურთიერთობაზეც აისახა.

„ყოველთვის კარგი ურთიერთობა გვქონდა — ნათესაობა, მეგობრობა, ერთმანეთთან ყოველთვის მივდიოდით. არცეველები ქვეშის სკოლაში დადიოდნენ. ჩემზე უფროსი თაობა უფრო ბევრს ჩამოთვლის ხოლმე და სულ იცნობდნენ იქაურებს, ნათესაობდნენ, ზოგი მეჯვარედ მისდევდა, ზოგი მეგობრობდა. ახლა ისინი აქ ვეღარ გამოდიან და ჩვენ იქით ვეღარ მივდივართ. იქიდანაც ქართველებისა და ოსების ნაწილი წავიდა და იქ დარჩენილებს ვეღარ აქვთ ისეთი ურთიერთობა, როგორც ადრე, მაგრამ მოსწავლეები დადიან ჩვენთან, თუმცა ძალიან დიდი პრობლემების ფასად, იმიტომ რომ იყო შემთხვევა, ეს ბავშვები რამდენჯერმე შეაშინეს. დღესაც მავთულხლართებია და დღესაც ხდება ჩვენი სოფლის მოსახლეების გატაცება. შიშით მუშაობს ხალხი ბაღში და ვენახში“, — გვიამბობს გიული ბეთლემიშვილი

800-კომლიანი სოფელი ქვეში გორის მუნიციპალიტეტის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში მდებარეობს. სოფელს ესაზღვრება ოკუპირებული ზემო არცევი, სადაც ქართული და ოსური ოჯახები წარსულში უპრობლემოდ თანაცხოვრობდნენ. 90-იანი წლების კონფლიქტის დროს აქ მცხოვრები ადამიანები ერთმანეთს უფრთხილდებოდნენ და შეიარაღებული ფორმირებებისგან იცავდნენ, ამიტომ არც მაშინ და არც 2008 წლის აგვისტოს ომის დროს აქ არც მსხვერპლი ყოფილა და არც სახლები გაუნადგურებია ვინმეს. ქვეშელებსა და არცეველებს ერთმანეთისთვის გაკეთებული სიკეთე ახსოვთ. ქვეშის მცხოვრები ელგუჯა რჩეულიშვილი გვეუბნება, რომ ერთ დროს ცხინვალის პირველობაზე ქვეშისა და არცევის ფეხბურთელები ერთი გუნდით გამოდიოდნენ და წარმატებებსაც აღწევდნენ, თუმცა შემდეგ დრო შეიცვალა, ახალგაზრდებმა ბევრი აღარაფერი იციან ამ ურთიერთობების შესახებ.

„რუსეთის ამბავია ეს ყველაფერი. ახლაც რომ ვხვდებით ახალგაზრდა თაობას, სხვანაირი განწყობით არიან, სჯერათ და ეგრე აქვთ ჩანერგილი, რომ ვითომ ჩვენ წავართვით ეს ტერიტორია. ჩვენი ხნის ხალხი ასე არ ფიქრობს, მათ ყველაფერი კარგად იციან, რომ ეს საქართველოსია, ჩვენია ყველასი. ერთად ვიყავით და როგორც ჩვენი იყო, ისე იმათიც იყო. ახლა რუსები იქ დადიან, სადაც არ არის მავთულხლართები გავლებული და ჩვენს ტერიტორიაზე 200-300 მეტრში შემოდიან და თუ დაინახეს ერთი კაცი მარტო, იმას ხელს წაავლებენ და მიჰყავთ. თუ რამდენიმე ერთად დაინახეს, მათ ვერ უბედავენ“, — ამბობს ელგუჯა რჩეულიშვილი.

ახლა ქვეშსა და არცევს შორის მავთულხლართებია გაბმული. რუსეთის მესაზღვრეებს არცევის მთაზე საგუშაგო აქვთ მოწყობილი და იქიდან ორივე სოფელს აკონტროლებენ, ოკუპაციის ხაზთან გასულ მოქალაქეებს კი ეგრეთ წოდებული საზღვრის დარღვევის ბრალდებით აკავებენ.

სოფლის მკვიდრ ნიკოლოზ გამდლიშვილს მიწის ნაკვეთი მავთულხლართებთან ახლოს აქვს და ნაკვეთში წასვლას ხშირად შიშის გამო ვერ ახერხებს.

„რუსი დგას და რომ გადახვალ, გიჭერს, თორე ხალხთან ურთიერთობა არ არის ცუდი. ნაკვეთები გვაქვს ზედ მიმდებარე ტერიტორიებზე და გვეშინია, ვერ მივდივართ იქამდე. შიშისა და რიდის ქვეშა ვართ. ხშირად მიტოვებული გვაქვს ის ნაკვეთები, იმიტომ რომ ვერ ვამუშავებთ. არ არის უსაფრთხოება“.

15 იანვარს ქვეშში, სკოლის გახსნისას უამრავი პოლიციელი იდგა, მაგრამ ეს უფრო მთავრობის წარმომადგენელთა ვიზიტით იყო გამოწვეული. ადგილობრივების აზრით, პოლიცია ღობეებთან ისევე უნდა პატრულირებდეს, როგორც ამას რუსეთის მესაზღვრეები აკეთებენ. ამ პირობებში ადგილობრივი მოსახლეობა თავს უფრო დაცულად იგრძნობს.

გიორგი აფციაური

ამ პატარა საქართველოში ურთიერთმოქიშპე სამასამდე პარტიაა აღრიცხული! ყველა მათგანი მმართველი პარტიისადმი მძულვარებით აღვსილნი, პარლამენტში შეღწევას ლამობს! სწორედ ამის შედეგია ქუჩაში, ტელეეკრანზე, პრესაში გადმოღვრილი სიბინძურე პირდაპირი და სულიერი გაგებით... აქ არ შეიძლება არ შევნიშნოთ ბოროტების ზეობა, როგორი „პატრიოტული“ და „სამართლიანობის“ დაცვის ფრაზეოლოგიითაც არ უნდა ინიღბებოდეს ის.

რასაკვირველია, ამ ბოროტებას ჩვენს „ტურფა საქართველოში“ უფრო ღრმა ფესვები გააჩნია. მინდოდა, მეთქვა: „თანაბრად ჩვენი გმირული წარსულისა,“ მაგრამ თავს ვიკავებ, რადგან ისე ძალუმია ეს ბოროტება, რომელიც სწორედ წარსულიდან მომდინარეობს, რომ ის გვსპობს და გვანადგურებს. რა არის ეს, როდინდელი წარსულია, რომელსაც თვალს ვარიდებთ?



პოლიტიკური ბოროტების შესახებ საქართველოში

როდესაც სახელმწიფო წარსულს „ივიწყებს“, ეს სახიფათოა. გავიხსენოთ ლაიბნიციდან მომდინარე ილიას შეგონება: **„ისტორია სხვა რაა, თუ არ გარკვევა, თუ არ ახსნა აწმყოსი წარსულიდან“.**

თავად პატრიოტიზმის ცნება ამბივალენტურია. მაგალითად, ცხრა ძმა ხერხეულიძის თავდადება სამშობლოსათვის უმაღლესი პატრიოტიზმის გამოხატულებაა. მაგრამ არსებობს პატრიოტიზმისადმი მოწოდება „საფრანგეთის დიდი რევოლუციის“ დროს. პატრიოტიზმი ესმოდათ როგორც სიყვარული რესპუბლიკის, თავისუფლებისა და თანასწორობისადმი. „პატრიოტი“ იყო სინონიმი „citoyen“-ის, „მოქალაქის“, საპირისპიროდ — „არისტოკრატისა“. ამ დროს წარმოიქმნა ახალი სიტყვები, როგორიცაა „არქი-პატრიოტი“, „ულტრა-პატრიოტი“, „ანტი-პატრიოტი“, „პატრიოფობია“ და სხვა. მაგრამ ხაზგასასმელია, რომ თავად ეს რევოლუცია ბოროტებას წარმოადგენდა, ისევე, როგორც რუსეთში მომხდარი 1917 წლის რევოლუცია. გავიხსენოთ ჰეგელის „გონის ფენომენოლოგიიდან“ ის ადგილები, რომლებიც რევოლუციას ეძღვნება.

ჰეგელის აზრით, რევოლუციას საფუძვლად უდევს განმანათლებლობიდან მომდინარე იდეა, რომლის მიხედვითაც აბსოლუტური თავისუფლება ეკუთვნის ყოველ ცალკეულ ბუნებრივ ადამიანს და აქედან გამომდინარეა რევოლუციის სწრაფვა, ყველა ერთმანეთს გაუთანაბროს. ჰეგელი კატეგორიულად არ ეთანხმება განმანათლებლობის ამ „ძირითად დოგმატს“, რომლის მიხედვითაც ყველა ადამიანი ბუნებით თანაბარია და მათ უთანაბრობას მხოლოდ კულტურა წარმოშობს. ყალბია ასეთი აზრი, — ამბობს ჰეგელი, — ადამიანები ბუნებით არ არიან თანაბარი და ამიტომ რევოლუციის სწრაფვას, ყოველ ადამიანს მოუტანოს აბსოლუტური თავისუფლება, მხოლოდ უარყოფითი შედეგი მოაქვს: **„საყოველთაო თავისუფლებას არ ძალუძს შექმნას არავითარი დადებითი საქმე ან აქტი; მისი ხვედრია მხოლოდ უარყოფითი მოღვაწეობა: იგი წარმოადგენს მხოლოდ გაქრობის ფურიას“.** აბსოლუტური თავისუფლება ითხოვს ბუნებრივ გათანაბრებას და, რაკი მას ეწინააღმდეგება სინამდვილე, სწორედ არათანაბრობა ნამდვილი ინდივიდუუმების, იგი იძულებული ხდება, მოსპოს ეს სინამდვილე და გაანადგუროს ადამიანები, რომლებიც გამოირჩევიან განსხვავებული აზროვნებით. ადამიანთა გათანაბრება — ეს ნიშნავს, მოჭრა მათ თავები, როგორც ეს ხდებოდა საფრანგეთის დიდი რევოლუციის დროს. **„ამიტომ საყოველთაო თავისუფლების ერთადერთი ქმნილება და აქტი გახლავთ სიკვდილი“,** — ამბობს ჰეგელი. ამასვე იტყოდა იგი რუსეთის რევოლუციაზე.

გამოვიყენოთ კიდევ ერთი პატრიოტული აქტის მაგალითი, რომელიც ემყარება ბოროტების განხორციელებას. რა უცნაურადაც არ უნდა მოეჩვენოს მკითხველს, ეს დანიელ ჭონქაძის „სურამის ციხეა“: გრძნეული ვარდო, შურისძიების მიზნით, ვეზირს ურჩევს სურამის ციხის გადასარჩენად ციხის კედელში ცოცხალი ადამიანის, მისი ყოფილი შეყვარებულის ძის ზურაბის ჩატანებას. ამას იგი ასე ასაბუთებს: „რო იცოდე, იმის ასრულებაზე ჰკიდია საქართველოს ხსნა, საქართველოს გამარჯვება“. კარგად დავუკვირდეთ: ამ შემთხვევაში პატრიოტული „აქტი“ ემყარება ბოროტების განხორციელებას, როგორც ჩვენთვის ნაცნობი ხმა საბჭოთა დროს (და ახლაც!) დაგვსისინებდა ხოლმე: **დასავლეთმა რომ შეგვამჩნიოს, საჭიროა სისხლი, მომიტინგეთა სისხლი!**

ყოველი ერის ისტორიაში სუფევს კეთილი და ბოროტი საწყისი, რომელიც თავს იჩენს აწმყოში და თუ რომელი სჭარბობს, ამას თავადვე აწმყო გვიჩვენებს, ე.ი. ერი დაქანების, დაგენერაციისკენ მიემართება თუ არა.

საქართველოს ისტორია გვიჩვენებს, რომ იშვიათია ერი, რომელსაც ამდენი გვირგვინოსანი წამებული ჰყავდეს სარწმუნოებისათვის, მაგრამ ის იმასაც გვიჩვენებს, რასაც დავით აღმაშენებელის ისტორიკოსი იუწყება: **„ვინათგან ნათესავი ქართველთა ორგულ ბუნება არს პირველთგანვე თვისთა უფალთა. რამეთუ, რაჟამს განდიდნენ, განსუქნენ და დიდება პოონ და განსუენება, იწყებენ განზრახვად ბოროტისა, ვითარცა მოგვითხრობს ძველი მატიანე ქართლისა და საქმენი აწ ხილულნი“.** ესე იგი, ისტორიკოსი კიდევ უფრო „ძველ მატიანეს“ ეყრდნობა „აწ ხილულ საქმეთა“ გარდა.

ჩვენი ისტორია იმასაც გვიჩვენებს, რასაც ჟამთააღმწერელი იუწყება: **„რათა დაუტეოს მეფეთა და მთავართა სამართალი, მოწყალება, სიყუარული, სიწრფოება, სიმშვიდე, სიმართლე, და მოწყალება მოიპოვოს ზედა ამპარტავნება, კლვა, შური, ხდომა, სიძულვილი, ანგარება, მიმძლავრობა, კვლანი, პარვანი, სიძვანი, უწესონი, ვითარცა იტყვის წინასწარმეტყველი: „ვითარცა მათდა რომელი კუალსა ბალამისსა შეუდგეს და საქმესა სოდომელთასა იქმან“. რამეთუ ყოველმა ასაკმან, ბერთა და ჭაბუკთამან, მცირითგან ვიდრე დიდადმდე,** მიაქციეს სიბოროტედ, რამეთუ სენი იგი სოდომელთა და სალმობა გომორელთა მოიწია“. (იხ. ქართლის ცხოვრება, 1955; ტ. II 1959; ქართლის ცხოვრება, მარიამ დედოფლის ვარიანტი, 2018).

ყოველ შემთხვევაში, განათლებული ევროპისთვის წარმოუდგენელი იყო ის, რაზედაც იოჰან გოტფრიდ ჰერდერი თავის „იდეებში კაცობრიობის ისტორიის ფილოსოფიის შესახებ“ (1784-1791) იუწყებოდა: **„სავალალოა ქრისტიანული საქართველოს ბედი. მასში არის ეკლესიები და მონასტრები, არიან პატრიარქები, ეპისკოპოსები და ბერები; ქალები — ლამაზები, მამაკაცები — გულადნი; და მაინც მშობლები ჰყიდიან შვილებს, ქმრები — ცოლებს, თავადები — ყმებს, მორწმუნენი — მღვდლებს. უცნაური ქრისტიანობა სუფევს ამ მხნე, უნდო, მტაცებელ ადამიანთა შორის“.**

არსებობს ამ საზარელი ფაქტების ჩანახატები დონ კრისტოფორო დე კასტელის ალბომში (თბილისი, 1977). სურათებს ახლავთ ასეთი მინაწერები: **„მყიდიან ბავშვთან ერთად, წყეულო სატანა!“; „ამ ზღვისპირა ქალაქში ყოველწლიურად საჯარო ვაჭრობა იმართება ყველა ჯურისა და ასაკის ბავშვთა, კაცთა და ქალთა გასაყიდად. აქედან გადიან კონსტანტინოპოლისკენ ქრისტიანების მიერ თურქებზე გაყიდული ბავშვებით დატვირთული სავსე გემები, მათი ბავშვების სულები ხომ სამუდამოდ დაკარგულია! აქ შვილი მამასა და დედას ჰყიდის, რაც ფაქტია: მამები და დედები თავიანთ შვილებს ჰყიდიან, რადგან ფულს უფრო აფასებენ, ვიდრე საკუთარ სისხლს“; „ბავშვების ბაზარი ქობულეთის მოედანზე, გურიის პროვინციაში. მატუტა ჩესნერია საკუთარ დედას ჰყიდის“!..**

„არც ერთ ომს“ — წერს აკად. ნ. ბერძენიშვილი — **„არც ერთ უცხოელ დამპყრობელს ხმლით იმდენი ზარალი არ მიუყენებია საქართველოსთვის, რამდენიც ამ „მშვიდობიანმა“ ტყვეთა სყიდვამ მიაყენა მას. გამარჯვებული ოსმალეთი ლიხთიმერეთის სამეფო ხელისუფლებას მორჩილების უმთავრეს პირობად ტყვის სყიდვის წინააღმდეგ ბრძოლის შეწყვეტას უყენებდა — ტყვის გამყიდველები ჩვეულებრივ თავადები იყვნენ. მაგრამ ამ ველურ საქმეს ჩქარა სხვებმაც მიჰყვეს ხელი. მთავრები, ეპისკოპოსები, აზნაურები და მოყაზახე გლეხებიც კი ტყვის სყიდვაში გაერივნენ. XVII ს-ში საერთოდ და განსაკუთრებით მის მეორე ნახევარში ტყვის სყიდვამ დასავლეთ საქართველოში კატასტროფული ხასიათი მიიღო. ამ საუკუნეში დასავლეთ საქართველოდან ოსმალეთში ყოველწლიურად იყიდებოდა მთელი მოსახლეობის ჯანსაღი ნამატი“** (ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. VI, თბ., 1973).

აღმოსავლეთ საქართველოში ბოროტების ზეობას თავად დავით გურამიშვილი ამოწმებს:

შეიქმნა დიდი მტერობა,
თქმა ერთმანეთის ძვირისა,
ამპარტავნობა და შური,
ურცხვად გატეხა პირისა;
ავაზაკობა, ქურდობა,
გზებზე დასხდომა გზირისა,
ტყვეობა, მოკვლა, ტაცება
ქვრივთა, ობოლთა, მწირისა!

თვით XIX ს-ში ბოროტება საქართველოში ვლინდება იმ სახით, რასაც ვაჟა-ფშაველა „ჩვენს დალაჩრებას“ უწოდებს: **„მთელი კახეთი, ვიდრე შამილს დაიჭერდნენ გუნიბში, ლეკების სანავარდო მოედანი იყო. რა წამსაც კი კავკასიონის ქედზე თოვლი შეთხელდებოდა, გზა გაიხსნებოდა, იმ წამსვე კახეთის ტყე და ველები ამწვანდებოდა, ლეკების ბრბოები დაიწყებდნენ თარეშობას“** (ვაჟა-ფშაველა, ტ. X, თბ., 1964).

არის კიდევ ბოროტების ერთი სახე, რაც აღწერილი აქვს არჩილ ჯორჯაძეს თავის თხზულებებში („ეროვნული პრობლემის გარშემო“, წიგნი პირველი, ტფილისი 1911, გვ. 48-51). ჩვენში ერთობ ცნობილ ფრაზას „შენ ქართველი ხარ, თუ ურჯულო“, ე.ი. როდესაც „ქართველი“ სინონიმი ხდება „ქრისტიანის“, ახლავს თურმე ჩრდილოვანი მხარეც, რასაც კარგად განმარტავს არჩილ ჯორჯაძე. მისი თქმით: **„რომ ჰკითხონ ძველ მესხეთის დღევანდელ ჩამომავალ ქართველს, ვინ ხარ შენაო, ჩაფიქრდება და გეტყვით ფრანგი ვარო. სარწმუნოებას, პარტიების მეცადინეობით, გაუქარწყლავს ეროვნული გრძნობა“.** რასაკვირველია, არჩილ ჯორჯაძე აშკარად ცდება, როდესაც ამ მოვლენას „პარტიების მეცადინეობას“ მიაწერს, მაგრამ ასეთი ფაქტები კი ნამდვილად არსებობდა.

შემდეგ ფრიად და ფრიად სამწუხარო და ბოროტ მოვლენას აღწერს არჩილ ჯორჯაძე. იგი წერს: **„მოუსმინეთ ახლა ძველ ერეთიდან მოწერილ ამბავს (ერეთის ნაწილს ეხლანდელი საინგილო შეადგენს). ერთ დროს აქაც ქართველები სახლობდნენ. დღევანდელ გამაჰმადიანებულ ქართველებს ინგილოებს უწოდებენ. კორესპონდენტი იწერება: მთელს საინგილოს მაჯლაჯუნასავით აწევს და მის კეთილდღეობას ძირს უთხრის ერთგვარი გადასახადი, რომელსაც ქეშქელს ეძახიან. ამ გადასახადს ანუ ქეშქელს იხდის ინგილო-ქართველი ლეკების სასარგებლოდ“.**

ეს ადგილი დაინტერესებულ მკითხველს შეუძლია შეუდაროს ზაქარია ედილაშვილის შესანიშნავ წიგნს „საინგილო“ (ზ. ედილი), სადაც დაწვრილებითაა აღწერილი ეს ბოროტება (საინგილო, თბილისი, 1947).

მოვუსმინოთ ისევ არჩილ ჯორჯაძეს: **„რა დაემართა ამ მხარეში ქართულ ენას და ეროვნულ შემეცნებას. ამის შესახებაც საყურადღებო ფაქტს ამჟღავნებს კორესპონდენტი: მესამოცე წლებში, დაიწყეს თუ არა ქრისტიანობის აღდგენა საინგილოში, მისწვდნენ ვინც კი ქართველი ნახეს — უნდოდათ ყველასთვის ქრისტიანობა მიეღებინებინათ. ქართველობა ქრისტიანობის სინონიმად გადააქციეს და ამითი ისე დააფრთხეს ის ხალხი, რომელიც თავისს თავს ქართველადა სთვლიდა, რომ ეხლა მუსულმან ინგილოს რომ ჰკითხო, ვინა ხარო, თამამად გიპასუხებს, თათარი ვარო. ეროვნება სარწმუნოებას ანაცვალეს — დამფრთხალი ინგილო დღეს ყოველ ღონეს ხმარობს, რომ თავისი თავი ქართველად არავის აჩვენოს და სცდილობენ თავიანთ შორის ქართველობის ნასახიც კი ამოაგდონ. ამის გამო გურჯისტანის ზოგიერთ სოფლებში ამგვარი დადგენილებაც კი იყო, რომ ქართულად არ ვილაპარაკოთ, არამედ მუსულმანურადო. დადგენილების დამრღვეველისთვის ხარი უნდა დაეკლათ. ამ მოკლე ხანში ისეთივე დადგენილება განმეორდა სოფ. მარსაანში. სოფლის ყრილობამ დაადგინა, ქართულად არ ვილაპარაკოთო. ჯერჯერობით ასეთი დადგენილება ნიადაგს მოკლებულია უმრავლესს შემთხვევაში, მაგრამ ჩვენ ისეთი მაგალითებიცა ვნახეთ, ელაპარაკებით კაცს ქართულად და ის კი თათრულად გაძლევთ პასუხს, არ უნდა, აღარა სურს სამშობლო ენაზედ ლაპარაკი. ამის გარდა, ინგილოებმა კიდევ უფრო უკიდურესს საშუალებას მიჰმართეს. ქალებს თავიანთში — ინგილოებში კი აღარა თხოულობენ, არამედ ნუხის მაზრიდან მოჰყავთ თათრის ქალები... თუ ასე გაგრძელდა საქმე, დასძენს კორესპონდენტი, ბოლოს სულ მოისპობა ქართველობა გურჯისტანშიო“.**

ამის წაკითხვისას ყველა ჭკუადამჯდარ კაცს ეჭვი უნდა შეეპაროს იმათ პატრიოტიზმში, რომლებიც გვთავაზობენ რაღაც „კავკასიური სახლის“ თუ „კავკასიური სახელმწიფოს“ შექმნას რუსეთის წინააღმდეგ. სულ სხვა რამ არის მეზობელ მუსლიმანურ ქვეყნებთან კეთილმეზობლური ურთიერთობის დამყარება და სულ სხვა — მათში გათქვეფა.

ვიქტორ რცხილაძე

(გაგრძელება ხვალის ნომერში)

ისტორიული წყაროები ამტკიცებენ, რომ ებრაელები სხვადასხვა დროს გადმოსახლდნენ საქართველოში ისრაელიდან, ბიზანტიიდან, ირანიდან და ხაზართა კაგანატიდან. დროთა განმავლობაში მათ დაავიწყდათ მშობლიური ენა და ალაპარაკდნენ ქართულად. საქართველოში ებრაელები ცხოვრობდნენ მცირე გაფანტულ ჯგუფებად. მათ გადაიღეს ადგილობრივი მოსახლეობის სამზარეულო, ჩაცმულობა, მუსიკა და ცეკვა. ქართველი ებრაელები წერენ და კითხულობენ ქართულად და თავიანთ თავს უწოდებენ „ებრაელებს“, „ისრაელებს“ ან „ქართველ ებრაელებს“. შუა საუკუნეების მოგზაურები აღნიშნავდნენ, რომ გარეგნულად ისინი არ განსხვავდებოდნენ ადგილობრივი მოსახლეობისგან.

აბიკ ჩარუხჩევი – ქართველ ებრაელთა სათვისტომოს თავმჯდომარე.

აზერბაიჯანში ქართველი ებრაელების გადასახლება დაიწყო XVIII საუკუნეში (ახალქალაქის, ახალციხის, ონის, კულაშის და ქუთაისის ტერიტორიებიდან). შემდგომ წლებში ქართველი ებრაელების ნაკადი აზერბაიჯანში უფრო ინტენსიური გახდა და აღნიშნული პროცესი პირველი მსოფლიო ომის დაწყებამდე გაგრძელდა.

გვესაუბრება ქართველ ებრაელთა თემის ხელმძღვანელი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი **აბიკ ჩარუხჩევი**:

ებრაულ-აზერბაიჯანული ხიდი საქართველოზე გადის!

ქართველ ებრაელთა თემი აზერბაიჯანში

– აზერბაიჯანის ერთიანი ეროვნული ლიდერი ჰეიდარ ალიევი ყოველთვის განსაკუთრებული ყურადღებით ეპყრობოდა ებრაულ რელიგიურ თემებს. ამჟამად, იგივე პოლიტიკას აგრძელებს პრეზიდენტი ილჰამ ალიევი. ქვეყანაში დაცულია ტოლერანტობა და მულტიკულტურული ტრადიციები. მთელი ისტორიის მანძილზე აზერბაიჯანში ყველა ხალხი ცხოვრობდა მშვიდობისა და ურთიერთგაგების პირობებში.

ქართველ ებრაელთა სინაგოგის შიდა ინტერიერი.

რამდენჯერმე შევხვდი ჰეიდარ ალიევს. იგი დიდი პიროვნება გახლდათ. ყოველთვის გვაოცებდა მისი არაჩვეულებრივი უნარი, რთული პოლიტიკური მოვლენების ანალიზის და სწორი გადაწყვეტილებების მიღებისა.

მთიანი ყარაბაღის სომხურ-აზერბაიჯანული კონფლიქტი XX საუკუნის ისტორიაში შევიდა როგორც ერთ-ერთი ყველაზე ტრაგიკული. მისი შედეგებით განისაზღვრა მილიონობით ადამიანის ბედი. აზერბაიჯანის ისტორიულ ტერიტორიებზე სომხური მხარის უფლების განცხადებით 1988 წელს დაწყებული კონფლიქტი დასრულდა სომხეთის სამხედრო აგრესიით აზერბაიჯანის წინააღმდეგ.

1993 წლის 15 ივნისს, როცა ჰეიდარ ალიევი ხელისუფლების სათავეში დაბრუნდა, ქვეყანაში ძალიან რთული სიტუაცია იყო. ის მიხვდა, რომ არსებობს კონფლიქტის გადაჭრის ერთადერთი გზა - კონფლიქტისადმი კომპლექსური მიდგომა და მნიშვნელოვანი შინა და გარე ფაქტორების გათვალისწინება, საზოგადოებრივი და პოლიტიკური სტაბილობის უზრუნველყოფა, რეგულარული არმიის შექმნა, სახელმწიფო ინსტიტუტების ხელახალი ფორმირება და მათი ნაყოფიერი მოღვაწეობის უზრუნველყოფა, ეკონომიკის აღდგენა და მმართველობის რადიკალური რეფორმების განხორციელება, ნავთობზე სტრატეგიული ხელშეკრულებების დადება, რომლებიც მომავალ ათწლეულებში უზრუნველყოფს ქვეყნის განვითარებას და როგორც შედეგი – ხალხის გაერთიანებას „აზერბაიჯანულობის“ იდეოლოგიის ირგვლივ.

ბაიჯანში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობები, მათ შორის ებრაული თემები, ვალდებულნი ვართ, მივიტანოთ მსოფლიო საზოგადოებრიობამდე, რომ ცხოვრობენ ოკუპირებულ ქვეყანაში და ამით დახმარება გაუწიონ აზერბაიჯანელ ხალხს.

1994 წლის 12 მაისს მიღებულ იქნა თანხმობა ცეცხლის შეწყვეტის შესახებ. ამ დრომდე სომხეთის სამხედრო აგრესიის შედეგად ოკუპირებულ იქნა აზერბაიჯანის რესპუბლიკის ტერიტორიის ოცი პროცენტი. მთიანი ყარაბაღის სომხურ-აზერბაიჯანული კონფლიქტის შედეგად ერთ მილიონზე მეტი აზერბაიჯანელი ლტოლვილად გადაიქცა, 20 ათასი ადამიანი დაიღუპა სამხედრო ოპერაციების დროს, 50 ათასი ადამიანი ინვალიდად იქცა.

ყარაბაღის ომში აგრეთვე მონაწილეობდნენ აზერბაიჯანის მოქალაქე ებრაელები. ჩვენ აზერბაიჯანელებთან ყოველთვის ვიზიარებდით ჭირსა და ლხინს. აზერ-

ქართველ ებრაელთა სინაგოგა ბაქოში.

* * *

– კავკასიის ებრაელები შეიძლება გავიყოთ სამ ჯგუფად: მთის, ევროპელი და ქართველი. მთის ებრაელები ძირითადად ცხოვრობენ აზერბაიჯანის მთიან რაიონებსა და დაღესტანში. ჩვენ, ქართველი ებრაელები მრავალსაუკუნოვანი დევნის შემდეგ ვცხოვრობდით საქართველოს ქალაქ ახალციხეში. ჩემი გვარი წარმოიშვა მთის მდინარე ჩარუხჩის დასახელებიდან, რომელიც მიედინება ამ ტერიტორიაზე. სინამდვილეში ჩემი გვარია ჩარუხჩაშვილი. ბაბუაჩემი ილია იყო მსხვილი მიწათმფლობელი. ამ რეგიონში სომხების მიგრაციის განხორციელების დროს მეფისნაცვალმა ვორონცოვ-დაშკოვმა იჯარით გადასცა ქართველებისა და ებრაელების კუთვნილი არასასოფლო-სამეურნეო მიწები სომხებს. ჩვენს ოჯახში ინახება დოკუმენტები, რომლებიც ადასტურებენ ბაბუაჩემსა და სომხებს შორის არსებულ სასამართლო დავებს. დოკუმენტები დამოწმებულია ვორონცოვ-დაშკოვის ბეჭდით. ბაბუაჩემმა, რომელმაც ვერ აიტანა უსამართლობა, პირდაპირ სასამართლოს პროცესზე მოკლა მოდავე სომეხი და ირანში გაიქცა. შემდგომ მან თავშესაფარი სთხოვა აზერბაიჯანს. მისი ნათქვამით, ახალციხეში მაშინ სულ თოთხმეტი სომხური ოჯახი ცხოვრობდა. თურქეთში მომხდარი ცნობილი მოვლენების შემდეგ რუსეთის სამეფომ ხელი შეუწყო ამ ტერიტორიებზე სომხების მიგრაციას. სომხები მიწაში მალავდნენ სომხურწარწერებიან ქვებს, შემდეგ კი „აღმოაჩენდნენ“ მათ და ამით ამტკიცებდნენ, თითქოს ამ ტერიტორიაზე უძველესი დროიდან ცხოვრობდნენ სომხები. ეს, რა თქმა უნდა, აბსურდია.


ახალციხე – ჩარუხჩევების სამშობლო.

* * *

1846 წელს შექმნილი ტიფლისის, ქუთაისის, შემახისა და დერბენდის გუბერნიებთან ერთად 1849 წელს სომხების დაჟინების შედეგად შეიქმნა ერევნის გუბერნია მას განვითარების კარგი შესაძლებლობა მიეცა. სომხები ითვისებდნენ აზერბაიჯანისა და საქართველოს ტოპონიმებს, ცვლიდნენ სოფლებისა და ქალაქების, ეკლესიისა და მონასტერების, ისტორიული ძეგლების სახელებს, უფლებას აცხადებდნენ მეზობელ ტერიტორიებზე.

ილია ჭავჭავაძე წერდა: **„...სომხები ცდილობენ, გააკეთონ ბუდე იქ, სადაც არასდროს არ ცხოვრობდნენ, და უნდათ, ამაში ყველა დაარწმუნონ.“**

აკაკი წერეთელი აღშფოთებით მიუთითებდა: **„ქართველ მეფეებს შეეცოდათ სომხები, ამიტომ დაასახლეს ისინი საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში, მათ ქალაქებიც მიეცა. ომიდან დაბრუნებულ ქართველებს კი დახვდათ სომხების მიერ მიტაცებული სახლები. ბოდიშის მოხდის ნაცვლად სომხები ყვიროდნენ:**

ბაქოს 46-ე სკოლასთან არსებული ებრაელთა კორპუსის დირექტორი ზამირ ისაევი.

აბიკ ჩარუხჩევი და სკოლის დირექტორი ზამირ ისაევი ბავშვებთან.

„ვინ ხართ? საიდან მოეთრიეთ? როდის ცხოვრობდით თქვენ აქ? ეს მიწა საუკუნეებია, ჩვენია!“ ნათქვამის დასასაბუთებლად სომხები აჩვენებდნენ ქართულ ეკლესიებსა და ტაძრებს, სადაც ქართული წარწერების ნაცვლად უკვე სომხური წარწერები იყო მოთავსებული“.

* * *

როგორც ხედავთ, მიუხედავად იმისა, რომ განსხვავებული ენა, რელიგია და ისტორია აქვთ, ქართველ და აზერბაიჯანელ ხალხებს აკავშირებს ერთი პრობლემა და ერთი ტრაგედია. ამბობენ: თუ ადამიანი არსებობს, პრობლემებიც არსებობსო. ეს ფრაზა შეიძლება სხვანაირადაც ვთქვათ: **თუ სომეხი არსებობს, პრობლემებიც არსებობს**.

ადამიანის უფლებათა ინსტიტუტმა გაასაჯაროვა ფაქტები 1918- 1919 წლებში აზერბაიჯანის ტერიტორიაზე სომხური ყაჩაღური დაჯგუფებების მიერ ებრაელების მასობრივი ჩახოცვის შესახებ. ამ ფაქტებთან დაკავშირებით ინსტიტუტმა დაიწყო გამოძიება, რომელშიც ჩართულია აგრეთვე აზერბაიჯანის ებრაული თემი. აზერბაიჯანის კუბას რაიონსა და მის მახლობლად ჩახოცილი ებრაელებიდან 118 ადამიანის ვინაობა — გვარი, სახელი, მამის სახელი უკვე გახდა ცნობილი. ოფიციალური ციფრების მიხედვით, ჩახოცილი ებრაელების რაოდენობა 1200-1300 კაცს შეადგენს

1946 წელს ქართველმა ებრაელებმა ბაქოში მიიღეს თანხმობა სინაგოგის აშენებაზე. ამავე წლიდან სინაგოგა ებრაელების კულტურულ და ეთნიკურ ცენტრად იქცა. 1960-იან წლებში თბილისში შეიქმნეს მაცის წარმოების მოწყობილობა და პესახის დღესასწაულის დროს დაიწყეს მაცის დამზადება.

2002 წელს ქართველ ებრაელთა თემმა ხელახლა გაიარა რეგისტრაცია. ამჟამად თემში გაერთიანებულია 300 ოჯახი.

ქალაქ ბაქოში აზერბაიჯანისა და ევრაზიის ებრაელთა სინაგოგა გაიხსნა 2003 წლის 9 მარტს. ტაძარი აგებულია არქიტექტორ ალექსანდრე გარბერის პროექტის საფუძველზე კუდსის სტილში. ბოლო 60-80 წლის განმავლობაში ეს გახლავთ ახლო აღმოსავლეთში აგებული პირველი სინაგოგა.

სამსართულიან, თეთრი ქვით აგებულ სინაგოგას აქვს მორწმუნეებისთვის საჭირო ყველა პირობა. სინაგოგის მშენებლობაში მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა ფენისა და რელიგიის ადამიანებმა. პროექტში მონაწილე ადამიანების სახელები ასახულია ტაძრის შემოსასვლელში სპეციალურ დაფაზე. მშენებლობას აფინანსებდნენ არა მარტო საზღვარგარეთ არსებული ებრაული ორგანიზაციები, არამედ კავკასიის მუსლიმთა ორგანიზაცია და რუსული მართლმადიდებელი ეკლესიის ბაქოსა და აზერბაიჯანის ეპარქიები. ეს ყველაფერი კიდევ ერთხელ ადასტურებს აზერბაიჯანის ტოლერანტობას.

* * *

აზერბაიჯანელი ხალხი ყოველთვის მეგობრულად ეპყრობოდა ებრაელებს. ბევრი ებრაელი აზერბაიჯანში ძალიან მაღალ და მნიშვნელოვან თანამდებობას იკავებს. აზერბაიჯანში ასევე ბევრი ებრაელი მუშაობს მეცნიერების, კულტურისა და განათლების დარგში. მათ შორის არიან, აზერბაიჯანის სსრ-ის მეცნიერებათა აკადემიის მეცნიერ-მუშაკი, გეოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი აბა მოშაშვილი, მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი დავით ელიგულაშვილი, შუშის ქარხნის მთავარი ინჟინერი შალომ ხანუკაშვილი, პროექტების ინსტიტუტის ინჟინერ-მშენებელი მიხეილ მოშაშვილი, ბიზნესმენები მიხეილ ქარელაშვილი, რუბენ დათიკაშვილი, მიხაელ პალაგაშვილი, ჯუმბერ დათიკაშვილი და სხვ. თვითონ მე, აბიკ ჩარუხჩევი (ჩარუხჩაშვილი), აგერ უკვე 43 წელია, ბაქოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტურის განყოფილების გამგედ ვმუშაობ.

ებრაელთა შთამომავლობა.

სკოლაში.

* * *

დღეს ებრაელ ბავშვებს, როგორც აზერბაიჯანის მოქალაქეებს, აქვთ თანაბარი შესაძლებლობა, მიიღონ ხარისხიანი განათლება. ბაქოს ნასიმის რაიონის №46 სკოლის ბაზაზე ებრაელი ბავშვებისთვის ფუნქციონირებს ებრაული სკოლა. სკოლის შენობის ხარჯებსა და პედგოგების ხელფასს უზრუნველყოფს სახელმწიფო, ხოლო სხვა ხარჯებს — საერთაშორისო ჰუმანიტარული ორგანიზაცია „ვაად-ლ-ხათზოლა“. ჩვეულებრივი გაკვეთილების გარდა აქ ბავშვებს ასწავლიან ებრაულ ადათ-წესებსა და ტრადიციებს. გაკვეთილები მიმდინარეობს ივრითზე, აზერბაიჯანულ, რუსულ, ინგლისურ და ფრანგულ ენებზე. ბავშვებს ემსახურება უფასო ტრანსპორტი, აქვთ სამჯერადი კვება (კოშერი). სკოლაში ფუნქციონირებს დამატებითი წრეები: ხატვის, მუსიკის, ჭადრაკის...

სკოლას ხშირად სტუმრობენ აზერბაიჯანში ჩამოსული უცხოელი სტუმრები და ებრაული თემების წარმომადგენლები, რომლებიც რწმუნდებიან, თუ როგორ ზრუნავს სახელმწიფო ებრაელებზე. სკოლა ცნობილია ტოლერანტობით და განათლების მაღალი დონით. მუშაობენ პროფესიონალი პედაგოგები და მოწაფეები ხშირად წარმეტებით მონაწილეობენ ადგილობრივ და საერთაშორისო კონკურსებში.

ამასთან ერთად ძალიან მნიშვნელოვანია ბავშვების აზერბაიჯანის მოქალაქეებად ფორმირება. მოსწავლეები ხშირად დადიან ექსკურსიებზე აზერბაიჯანის ისტორიულ ადგილებში, რათა უკეთ გაიცნონ ქვეყნის ეროვნული ფასეულობები.

ამის გარდა, ბაქოში მცხოვრები ებრაელი ბავშვებისთვის პროექტ „ტოლერანტობის მისამართი — აზერბაიჯანის“ ფარგლებში საერთაშორისო ფონდ „ორ-ავნერის“ მიერ აგებულია საგანმანათლებლო ცენტრი „ხაბად-ორ-ავნერი“. ცენტრის საძირკვლის ჩაყრის ცერემონია გაიმართა 2007 წლის 31 მაისს ბაქოს ხათაის რაიონში ჰეიდარ ალიევის ფონდის პრეზიდენტის მეხრიბან ალიევას მონაწილეობით. მშენებლობა დასრულდა 2010 წელს.

2010 წლის 4 ოქტომბერს აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტმა ილჰამ ალიევმა, ქვეყნის პირველმა ლედიმ მეხრიბან ალიევამ და დსთ-ის ებრაული თემების ფედერაციისა და „ორ-ავნერის“ საერთაშორისო ფონდის პრეზიდენტმა ლევ ლევაევმა მონაწილეობა მიიღეს საგანმანათლებლო ცენტრის გახსნის ცერემონიალში. სამსართულიანი ცენტრი აგებულია ყველა თანამედროვე მოთხოვნის გათვალისწინებით. 30 საკლასო ოთახი აღჭურვილია თანამედროვე მოწყობილობებით, ხოლო ღია სტადიონის ფართობი 700 კვ. მეტრია. 450-ადგილიანი საგანმანათლებლო ცენტრი განსხვავდება სხვა დაწესებულებებისგან იმით, რომ აქ ბავშვებს ასწავლიან ებრაული კულტურის საფუძვლებს. ამჟამად ცენტრში (საბავშვო ბაღის ჩათვლით) სწავლობს 200 ბავშვი და დასაქმებულია 40 პედაგოგი.

ებრაელთა თემის ბაგა-ბაღი ბაქოში.

სწავლის პროცესში.

ქვეყანაში აგრეთვე ფუნქციონირებს აზერბაიჯანულ-ებრაული მეგობრობის ცენტრი, ებრაული სააგენტო „სოხნუტ“, ცნობილი ორგანიზაციები „ჯოინთი“ და „ვაად-ლ-ხათზოლა“, ებრაული თემების კულტურის ცენტრები, ქალთა საზოგადოება „იევა“ და სხვა არასამთავრობო ორგანიზაციები.

ამასთან ერთად აზერბაიჯანში მაღალ დონეზე აღინიშნება ებრაული რელიგიური დღესასწაულები, აგრეთვე ჰოლოკოსტი — მეორე მსოფლიო ომის დროს გენოციდის შედეგად დაღუპულ ებრაელთა ხსოვნის დღე.

მინდა, გავიხსენო ჩემი ბავშვობა. სხვა ბავშვებთან ერთად დავდიოდით სინაგოგაში. რატომღაც მაშინდელი მთავრობის წარმომადგენლები სინაგოგაში სიარულს არ გვიშლიდნენ. მსუბუქი მრეწველობის საქონელი აზერბაიჯანში პირველად ჩვენმა მამებმა აწარმოეს. აზერბაიჯანელ და ებრაელ ხალხებს შორის არსებობს ხიდი. ჰუმანიზმი, ტოლერანტობა, მულტიკულტურიზმი სახელმწიფო პოლიტიკის ერთ-ერთ ხაზად იქცა, რაც მომავალშიც ხელს შეუწყობს ჩვენი მეგობრობის განმტკიცებას. აზერბაიჯანის ერთგული ვარ, მეუღლე აზერბაიჯანელი მყავს. ძალიან ბედნიერი ვარ, რადგან ჯანსაღი ოჯახის მეთაური ვარ. არ შემიძლია ცხოვრება სხვა ქვეყნებში. ბაქო მსოფლიოს ყველაზე ლამაზი ქალაქია. აზერბაიჯანის გარეშე ვერ წარმომიდგენია ჩემი თავი...

ესაუბრა
ნარიმან ალიევი
ბაქო.

ქართულად თარგმნა
ელზა კარაკაშოღლიმ

პუტინმა პანდორას ყუთი გახსნა

იგი ცდილობს, ძალაუფლება პრეზიდენტობის შემდეგაც შეინარჩუნოს

რას წერს დასავლური მედია ვლადიმერ პუტინის გეგმებზე

დასავლური მედია ვლადიმერ პუტინის მიერ გამოცხადებულ ცვლილებებს 2024 წლის შემდგომი პერიოდისთვის მზადებად აფასებს.

„ბატონ პუტინს საერთოდ არ მოუფენია ნათელი თავისი გეგმებისთვის, თუმცა სანაცვლოდ მან შესაძლო ვარიანტების პანდორას ყუთი გახსნა. შექმნილი გაურკვევლობა პოლიტიკური ელიტის ბალანსს არღვევს და პუტინი რჩება ღერძად, რომლის გარშემოც მთელი ქვეყანა ტრიალებს“, — წერს გამოცემა „ნიუ-იორკ თაიმსი“.

ერთ-ერთი სცენარი, რომლის განხორციელებასაც სტატიის ავტორი რუსეთში არ გამორიცხავს, ყაზახეთის მსგავსი სისტემის შექმნაა. ცენტრალური აზიის ამ ქვეყანაში გასულ წელს ნურსულთან ნაზარბაევმა პრეზიდენტის თანამდებობა დატოვა, თუმცა დარჩა მმართველი პარტიის თავმჯდომარედ და „ხალხის ლიდერის“ ახალი ტიტული მოირგო.

როგორც „ნიუ-იორკ თაიმსი“ წერს, არაერთი ცნობის თანახმად, თავდაპირველად ვლადიმერ პუტინი იმედოვნებდა, რომ პრეზიდენტის თანამდებობიდან წასვლის შემდეგ გაერთიანებული რუსეთისა და ბელარუსის ლიდერის ახალ, უმაღლეს პოსტს დაიკავებდა. თუმცა, ორი ქვეყნის გაერთიანებისკენ ნაბიჯებს, რომელთა ინიციატორი ჯერ კიდევ ყოფილი პრეზიდენტი ელცინი იყო, ბელარუსის მხრიდან წინააღმდეგობა შეხვდა. გამოცემის თანახმად, დასტურად, რომ საბოლოოდ პუტინი მთლიანად დამოკიდებულია მოსახლეობის მხარდაჭერაზე, მოულოდნელი პოლიტიკური გეგმების გამოცხადებამდე მან ფედერალური კრებისადმი მიმართვისას ელექტორატს სოციალური დაპირებები მისცა — **უფასო სადილი სკოლებში, ფინანსური დახმარება დედებისთვის და სიღარიბის წინააღმდეგ მიმართული სხვა ზომები.**

გამოცემა „ფაინენშელ თაიმსი“ კი, ანონიმურ წყაროებზე დაყრდნობით წერს, რომ ვლადიმერ პუტინი ძალაუფლების გადაბარებას არ აპირებს.

„პუტინი ფიქრობს, რომ მის გარეშე ყველაფერი ჩამოიშლება. ზეწოლის გარეშე ქვეყანაში სერიოზული ცვლილებები არ მოხდება. მოსახლეობის უმრავლესობას ეს არ ადარდებს. რევოლუციები ხდება მაშინ, როდესაც არ არის პური და მაღაზიების დახლები ცარიელია“, — ამბობს გამოცემასთან საუბარში ერთ-ერთი ანონიმური წყარო.

„ბიბისისთან“ საუბარში რუსეთში ბრიტანეთის ყოფილი ელჩი **ტონი ბრენტონი** ამბობს, რომ ვლადიმერ პუტინმა დაიწყო თავისი პრობლემის მოგვარება, რომელიც 2024 წლის შემდგომ პერიოდს ეხება. ყოფილი დიპლომატი აღნიშნავს, რომ პუტინის გეგმები არის მცდელობა, დაიცვას საკუთარი პოლიტიკური მომავალი 2024 წლის შემდეგ.

„რა თქმა უნდა, პუტინს აქვს პრობლემები, ეკონომიკურმა ზომებმა მნიშვნელოვნად დააზარალა მისი მთავრობის პოპულარობა. მას პირადი პრობლემაც აქვს, რომელიც დაკავშირებულია იმასთან, თუ რა იქნება 2024 წლის შემდეგ, როდესაც პრეზიდენტობის ვადა ამოეწურება. ვფიქრობ, რასაც ჩვენ ახლა ვხედავთ, აჩვენებს, რომ პუტინმა ამ პრობლემების მოგვარება დაიწყო. მისი განცხადებები აჩვენებს, რომ უფლებამოსილების ნაწილს პარლამენტსა და სახელმწიფო საბჭოს გადასცემს. დარწმუნებული ვარ, პუტინს საკუთარი თავისთვის უნდა როლი, რომელიც მას საკუთარ პოლიტიკურ მომავალზე კონტროლს მისცემს, რადგან მისი ერთ-ერთი მცდელობა, შექმნას მოკავშირე სახელმწიფო ბელარუსთან, როგორც ბოლო კვირებმა აჩვენა, წარუმატებელია“, — აღნიშნავს ბრენტონი, რომელიც რუსეთში ბრიტანეთის ელჩად 2004-2008 წლებში მუშაობდა.

გამოცემა „ლე მონდთან“ ვებგვერდ „ინსაიდერის“ მთავარი რედაქტორი **რომან დობროხოტოვი** ამბობს, რომ პუტინს ჯერ არ გადაუწყვეტია, დარჩება პრემიერ-მინისტრად თუ სახელმწიფო საბჭოს ჩაუდგება სათავეში. თუმცა, ინიცირებული საკონსტიტუციო ცვლილებები მას ორივე შესაძლებლობას აძლევს.

„აქამდე ნაკლებად ცნობილი ორგანოს — სახელმწიფო საბჭოს გაძლიერების გამოცხადება ყურადღებას იქცევს და გვახსენებს ყაზახეთში ნურსულთან ნაზარბაევის მიერ არჩეულ სცენარს. ნაზარბაევი 2019 წელს პრეზიდენტის პოსტიდან წავიდა, თუმცა ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს ხელმძღვანელის პოსტით ცენტრალური როლი შეინარჩუნა“, — წერს ფრანგული გამოცემა.

სააგენტო **„როიტერი“** წერს, რომ პუტინის მიერ გამოცხადებული გეგმა 2024 წლის შემდეგ ძალაუფლების შენარჩუნებაში დაეხმარება.

„მნიშვნელოვანი ნაბიჯები ფართოდ განიხილება, როგორც 2024 წლისთვის ნიადაგის მზადება, როდესაც პუტინი, რომელიც ახლა 67 წლისაა, იძულებული იქნება, დატოვოს პრეზიდენტის თანამდებობა“, — წერს სააგენტო.

როგორც „როიტერი“ აღნიშნავს, პუტინს ინიციატივები მისცემს შესაძლებლობას, 2024 წლის შემდეგ, როგორც პრემიერ-მინისტრმა, გააძლიეროს ან მოირგოს სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის ახალი როლი. მედიასაშუალება არ გამორიცხავს იმასაც, რომ ვლადიმერ პუტინი მომავალში გაძლიერებული პარლამენტის სპიკერი გახდეს.

ვინ არის მიხეილ მიშუსტინი, რომელიც რუსეთის მომდევნო პრემიერია?

რუსეთის სახელმწიფო დუმამ პლენარულ სხდომაზე განიხილა და დაამტკიცა პრემიერ-მინისტრის პოსტზე ვლადიმერ პუტინის მიერ წარდგენილი ფედერალური საგადასახადო სამსახურის ყოფილი ხელმძღვანელის მიხეილ მიშუსტინის კანდიდატურა.

ამის შესახებ რუსეთის პარლამენტის სპიკერმა ვიაჩესლავ ვოლოდინმა დუმის რიგგარეშე სხდომის დასრულების შემდეგ განაცხადა. ვოლოდინის თქმით, პლენარულ სხდომამდე ყველა პარლამენტარს ექნება მიშუსტინისთვის კითხვის დასმის საშუალება. რეგლამენტის თანახმად, პრემიერობის კანდიდატმა დუმის წევრებს მომავალი მთავრობის საქმიანობის პროგრამა უნდა წარუდგინოს. ამასთან, ვოლოდინმა აღნიშნა, რომ დუმის წევრებს მიშუსტინთან რიგგარეშე სხდომაზე მინისტრთა კაბინეტის ახალი შემადგენლობა არ განუხილავთ.

მიხეილ მიშუსტინი 2010 წლიდან რუსეთის ფედერალური საგადასახადო სამსახურის ხელმძღვანელის პოსტს იკავებდა. იგი 53 წლისაა და პროფესიით ეკონომისტია. განათლება მოსკოვის ტექნოლოგიურ უნივერსიტეტში აქვს მიღებული. საგადასახადო სამსახურში მან თავდაპირველად მუშაობა 1998 წელს დაიწყო. შემდეგ იგი მუშობდა რუსეთის ეკონომიკური განვითარების სამინისტროში საკადასტრო სამსახურში. 2008 წელს მან სახელმწიფო სამსახური დატოვა თავისი სურვილით და ბიზნესსექტორში გადავიდა ინვესტიციების მიმართულებით.

მიშუსტინი ორი წლის განმავლობაში იკავებდა UFG Capital Partners-ის პრეზიდენტის პოსტს, და UFG Asset Management-ის მმართველი პარტნიორის თანამდებობას. აღსანიშნავია, რომ UFG group-ის ერთ-ერთი დამფუძნებელი ფინანსთა ყოფილი მინისტრი ბორის ფიოდოროვი იყო. მიხეილ მიშუსტინს ეკონომიკურ მეცნიერებებში დოქტორის ხარისხი აქვს.

შეგახსენებთ, რომ რუსეთის მთავრობა პრემიერ-მინისტრ დიმიტრი მედვედევის ხელმძღვანელობით მას შემდეგ გადადგა, რაც ვლადიმერ პუტინმა ფედერალური კრებისადმი მიმართვაში საკონსტიტუციო ცვლილებები დააანონსა.

გაძვირდება თუ არა ფქვილი საქართველოში?

რუსეთი ხორბალზე შეზღუდვებს აწესებს

რუსეთმა **საკუთარ ხორბალზე კვოტირება/შეზღუდვა დაადგინა. ამის შესახებ ხორბლისა და ფქვილის ასოციაციის აღმასრულებელმა დირექტორმა ლევან სილაგავამ რადიო „პალიტრას“ გადაცემაში „საქმე“ განაცხადა.**

მისივე თქმით, რუსეთის სოფლის მეურნეობის სამინისტრომ დაადასტურა, რომ იანვრის ბოლოს ამუშავდება მექანიზმი, რომელიც საბაჟო კავშირის არაწევრი ქვეყნებისთვის რუსეთიდან ხორბლის ექსპორტის შემთხვევაში 20 მლნ ტონაზე არასატარიფო კვოტირების შემოღებას გულისხმობს.

„ეს ნიშნავს, რომ 1 ივნისამდე, ანუ 6 თვის განმავლობაში რუსეთიდან ხორბლის გატანის შემთხვევაში საბაჟო კავშირის არაწევრი ქვეყნებისთვის კვოტა/შეზღუდვა იქნება შემოღებული. 20 მლნ ტონა საკმაოდ დიდი მოცულობაა, ექსპერტების ნაწილი ამბობს, რომ ეს უფრო გადაზღვევაა, რადგან 20 მლნ ტონის გატანას რუსეთი ისედაც ვერ შეძლებს ამ 6 თვის განმავლობაში. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ჯერ არ კონკრეტდება, თუ როდის ამოქმედდება ეს მექანიზმი — 2020 თუ 2021 წლიდან. თუმცა, ბოლო ინფორმაციით, უფრო ფიქრობენ, რომ მექანიზმი წლევანდელი წლიდან ამუშავდება.

ამ მექანიზმის ამოქმედებით, რუსეთი ცდილობს მოაწესრიგოს, რომ ზედმეტი ხორბლის გატანა არ მოხდეს ქვეყნიდან და ამით თავის სასურსათო უსაფრთხოებას არ შეექმნას საფრთხე. მით უმეტეს იმის ფონზე, რომ 2019 წელს ქვეყნიდან ხორბლის ძალიან დიდი რაოდენობა გავიდა ექსპორტზე, ახალი მოსავლის პირობები კი არ იციან როგორი იქნება.

ამ მექანიზმის ამუშავების პირველ ეტაპზე შესაძლოა, რუსეთში ფასის ცვლილება მოხდეს, მაგრამ ეს იქნება მხოლოდ პირველ ეტაპზე, რადგან მისი ამოქმედების მოლოდინი არსებობდა. ერთი ზღვარი იქნება ალბათ, მარტის ბოლოსკენ ან შუა რიცხვებში, როცა ტრადიციულად ახალი მოსავლის ანალიტიკა დგება. რაც შეეხება გავლენებს საქართველოზე, ჩვენ ვფიქრობთ, რომ პირველ ეტაპზე, ეს ფქვილის ფასზე სერიოზულად არ აისახება,“ — აღნიშნა სილაგავამ. ბოლო წლების განმავლობაში რუსეთში ხორბლის რეკორდული მოსავალი მოდის. 2019 წელს ქვეყანაში 120,7 მლნ ტონა ხორბალი აიღეს, რაც ერთ-ერთი ყველაზე მაღალი მაჩვენებელია ისტორიაში.

კადიროვი ავად გახდა და მოვალეობის შემსრულებელი დანიშნა

ჩეჩნეთის რესპუბლიკის ხელმძღვანელი რამზან კადიროვი ავად გახდა და რეგიონის პირველ პირად დროებით მთავრობის მეთაური მუსლიმ ხუჩიევი დანიშნა. ხუჩიევი კადიროვის მოვალეობების შესრულებას 13 იანვრიდან შეუდგა და ამ საქმიანობას მის გამოჯანმრთელებამდე განაგრძობს. კადიროვის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ სხვა დეტალები არ ვრცელდება.

კადიროვის ავადმყოფობა რუსეთში პოლიტიკურ ცვლილებებს დაემთხვა. რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა ფედერალურ კრებას მიმართა, რა დროსაც კონსტიტუციის რეფორმის ინიციატივა წარადგინა, რომელიც გულისხმობს პრეზიდენტის უფლებამოსილებათა ნაწილის პარლამენტისთვის გადაცემას, საპრეზიდენტო კანდიდატებისთვის მოთხოვნების გამკაცრებას და რუსეთის ტერიტორიაზე საერთაშორისო სამართალის პრიორიტეტულობის შეზღუდვას.

რუსეთი და სირია მშვიდობიან მოქალაქეებს დაერივნენ

რუსეთისა და სირიის სამთავრობო ძალების ავიაიერიშს 18 მშვიდობიანი მოქალაქე ემსხვერპლა. დაღუპულთა შორის ბავშვებიც არიან.

ავიადარტყმები ამბოხებულების მიერ კონტროლირებად იდლიბის პროვინციის რამდენიმე ქალაქზე განხორციელდა. სირიის მთავრობამ რუსეთის მხარდაჭერით ავიაიერიშები თურქეთთან ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების გაფორმებიდან 2 დღის შემდეგ განაახლა.

კვირას ძალაში შევიდა ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმება, რომელიც ბაშარ ასადსა და თურქეთის მიერ მხარდაჭერილ ამბოხებულებს შორის გაფორმდა.

სროლა სასამართლოში

რუსეთში განსასჯელმა ცეცხლი სასამართლო დარბაზში გახსნა. ამის შესახებ ადგილობრივი მედია წერს. ინციდენტი ქალაქ ნოვოკუზნეცკში მოხდა. სროლის შედეგად 2 ადამიანი დაიჭრა. ერთი მათგანი საავადმყოფოში მიყვანამდე გარდაიცვალა, მეორეს კი გადაუდებელი ოპერაცია დასჭირდა. მისი მდგომარეობა მძიმეა. თავდამსხმელი ადგილზე დააკავეს.

◎ წაკითხვა აუცილებელია

რა საიდუმლოებებია კონსტიტუციაში?..

გიორგი გოგიაშვილის ახალი წიგნის გამო



გიორგი გოგიაშვილის „კონსტიტუციის საიდუმლოებანი“, მიუხედავად იმისა, რომ მას მეორე სათაურიც აქვს — „ლექციები შედარებით-კონსტიტუციურ სამართალში“ — უწინარეს ყოვლისა, წიგნია;

წიგნი — დაწერილი ექსტრაკლასის პროფესიონალი სამართალმცოდნისა და „მორჭმული და გამგებიანი“ მოსამართლის მიერ.

უპირველესი, რაც თვალში გეცემათ, ეს თავად წიგნის არქიტექტურაა.

ეს წიგნი, დიახაც, აშენებულია, დასასრული — ერთ მონუმენტურ პორტალში არაერთი კარია გაჭრილი — ავტორს შევყავართ ურთულეს ტექსტუალურ ლაბირინთებში, საიდანაც თავადვე გვთავაზობს გონივრულ და ჰერმენევტიკულად მოტივირებულ გამოსავალს.

გიორგი გოგიაშვილის წიგნში კონსტიტუციური სამართალი წარმოგვიდგება იმ საბაზისო იურისპრუდენციულ თაურფენომენად, საიდანაც უნდა ამოიზარდოს (და ამოიზიდოს) „სიმართლე-სამართლიანობა-სამართლის“ — ამ კლასიკური ტრიადის — ჰერმენევტიკული აღმა თუ დაღმასვლანი, ხოლო ამ „ცოდვა-ბრალით“ აღსავსე პერიპეტიათა კვალობაზე კონსტიტუციურ პარადიგმათა მონაცვლეობის სჯანი და ძიებანი...

სისადავე ზოგჯერ ანალიზის მტერიაო — უთქვამს დოსტოევსკის და გიორგი გოგიაშვილიც ხშირად მძიმე, მაგრამ საფუძვლიანად განჩხრეკილი ნარატივით მიგვიძღვება კონსტიტუციური სამართლის ქრონოტოპოსებში...

ინტერპრეტაციათა და არგუმენტაციათა უსიერ ტყეში გზას თავად ავტორი გვიკვალავს; აურაცხელ წყაროს გადახარშავს და საბოლოო ჯამში გვთავაზობს კონსტიტუციური სამართლის მთელ pro et contra-ს...

შეუნელებელი ინტერესით იკითხება წიგნის ორივე ნაწილი — „კონსტიტუციონალიზმი და სამართლებრივი სახელმწიფო“ და „შედარებითი ფედერალიზმი“. ავტორი ყველგან ერთგულებს სამართლებრივი მსჯელობის აქსიოლოგიურ მეტალოგიკას; ამასთან, არასოდეს ვარდება სპეკულატიური ფილოსოფიური განსჯის უკიდურესობაში — მუდამ კონკრეტული ისტორიული პრაქტიკის საფუძველზე მოიაზრებს სამართლებრივ უნივერსალიებს და რეალონტოლოგიურ სიტუაციონიზმზე დაყრდნობით იძლევა აღმოსავლურ-დასავლური სამართალცნობიერების მთელ კოლორიტიკას; სამართლებრივი ქრომატიზმის ობერტონებში კი მაინც პოულობს იმ „ფერადოვან“ დომინანტას, სადაც უკვე შეუფარავად გამოსჭვივის მისი, როგორც სამართალმცოდნისა და სამართალკრეატორის პოლიტიკური და კულტურული გემოვნებითი ინტენციები.

კონსტიტუცია, როგორც ასეთი, ლიტერატურული გემოვნებით დაწერილ ამ წიგნში მართლაც რომ კონკრეტულ ისტორიულ ეპოქათა თუ ფორმაციათა ერთგვარ არტეფაქტადაა მოაზრებული; საკონსტიტუციო სამართლის კომპარატივისტული ასპექტები კი ავტორს საშუალებას აძლევს, თავად ეს სამართალი მოგვააზრებინოს, როგორც კულტურის ფენომენი; კულტურისა, რომლის უპირველესი მოცემულობაც აკრძალვათა ბადის შექმნაა; კონსტიტუირება იმგვარი სიტუაციური ველისა, რომელშიც მუშაობს მკაცრი და შეუვალი სლოგანი — „შენ უნდა“.

აი, ეს „უნდაობითი“, ჯერარსული კონსტანტაა ის ფენომენოლოგიური საფუძველი, რომელსაც უნდა მისდევდეს ადამიანის, როგორც პასუხისმგებელი ექსისტენც-სუბიექტის რაგინდარა ქმედება; ადამიანისა, რომელიც კარტეზიანული დევიზის ჰუსერლისეული ტრანსკრიფციით უნდა (ისევ „უნდა“!) მოქმედებდეს დევიზი — „respodeo ergo sum“ — „ვპასუხობ, მაშასადამე ვაზროვნებ“.

ადამიანი, დიახაც, შემპასუხებელი, პასუხის გამცემი და აქედან, პასუხის (მი)მგებელი არსებაა; მისი სამართლის (resp. კონსტიტუციური სამართლის) სუბიექტად დასახვა (და დასახსვრა) სცილდება და გვარიანადაც სცილდება კონკრეტულ საპროცედურო ფორმატს და ამდენადვე შეიძლება იქცეს ინტერესის საგნად ფართო პროფილის ჰუმანიტარული და სახელდობრ, კულტურის კვლევებისთვის.

წიგნის არაერთი პასაჟი სამართლებრივი მსჯელობის მოხდენილი ნიმუშია. აქ თავად „გასამართლება“, როგორც მართლშეგნების რეპრეზენტაცია, მისი შესრულება და აღსრულება გვევლინება, როგორც „გორდიას კვანძის“ გახსნა, გაურკვევლობის დასრულება, სამართლიანობისა და ჭეშმარიტების კონტროვერსიათა და კომბინატორიკათა გადააზრება და სამართლებრივი მსჯელობის აქტის საჯარო სივრცეში გამოტანა-გამომზეურება... საიდუმლოსთვის ფარდის ახდა და ლეგიტიმაციის, როგორც ნიღბის, ჩამოხსნის „პერფორმანსი“...

წიგნში ხოლისტურად — მთლიანობითად აღსაქმელ და უნიტარულ ტექსტუალურად სახილველ სივრცეშია „გათამაშებული“ საკონსტიტუციო „მისტერიათა“ აქტები...

არანაკლებ საინტერესოა ამ სპექტაკულირებული აქტების „კულისებში“ დანახული ქმედებანი — ერთი შეხედვით არარელევანტურნი ძირეული პრობლემური დრამატურგიისადმი და მით უფრო საინტერესონი სამართლის, როგორც ეზოთერული და ეზოთერული კონტამინაციებით „გამდიდრებული“არტისტული ძალაუფლებისადმი.

წიგნში ღრმა და ჟინიანი ანალიტიკითაა თეორიულად რეპრეზენტირებული მთელი სპექტრი პრობლემებისა — კონსტიტუციის ფილოსოფიით დაწყებული, მოსამართლის, როგორც სამართლის აღმსრულებლისა და თავად სასამართლო სახილველის აქტორის პრაქსისით დამთავრებული.

ამ მხრივ ეს ტექსტი უამრავ საკითხს აღუძრავს სპექტაკულარიზაციის პოსტმოდერნული პრობლემატიკით დაინტერესებულ კულტუროლოგსაც, ვისთვისაც „სპექტაკლის საზოგადოებაში“ (გი დებორის სტრატეგია) ნებისმიერი სახილველი იმავდროულად საქონელიცაა, რომელიც უნდა „გაიყიდოს“.

გ. გოგიაშვილის წიგნი უაღრესად კულტურული კაცის დაწერილი ტექსტია, სადაც ზუსტი თანაფარდობაა კანონის მკაცრ დოგმატიკასა და იმ ჰუმანიტარულ-ექსისტენციურ საწყისებს შორის, რომელთა სცილასა და ქარიბდას შორის მსვლელობაც სხვაგვარ ლიტერატურულ გემოვნებას მოითხოვს.

და ამიტომაცაა, რომ კონსტიტუციის საიდუმლოებათაგან ავტორი თითქოსდა განგებ ტოვებს იმპლიციტურ ტოპოსებს, სადაც სამართალი ფილოსოფიური ანთროპოლოგიისა და ჰერმენევტიკის ისეთ სფეროებს ეხება, რომელთა შესამეცნებლად (და შესაგრძნობადაც) პოიესისის, როგორც უნივერსალური შემოქმედებითი-კულტურკრეატიული აქტუალობაა არსებითი.

წიგნის მთელი ხიბლი მაინც ის კომპარატივისტული დიაპაზონია, რომელშიც ავტორი თავს გრძნობს, როგორც თევზი — წყალში... და ამაშიც გამოსჭვივის გიორგი გოგიაშვილის, როგორც თეორეტიკოსი იურისტის ჰუმანიტარული მასშტაბიც და მისი, როგორც პრაქტიკოსი სამართალკრეატორის სოლიდური „რეპერტუარიც“.

დავით ანდრიაძე,
კულტუროლოგი, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ჟურნალ „თეატრის“ მთავარი რედაქტორი.

რეკორდული რაოდენობის სასიკვდილო განაჩენი

საუდის არაბეთში 2019 წელს რეკორდული რაოდენობის სასიკვდილო განაჩენი აღსრულდა. ერთი წლის განმავლობაში სამეფოში საერთო ჯამში 184 ადამიანი დასაჯეს სიკვდილით, მათგან 90 სხვა ქვეყნის მოქალაქე იყო. ცნობილია, რომ სიკვდილმისჯილთაგან 82 ნარკოტიკული ნივთიერებების კონტრაბანდისთვის იყო მსჯავრდებული, 67 მათგანს კი, მკვლელობის ბრალი ჰქონდა დამტკიცებული.

ამასთან ერთად, ადგილობრივი ჰუმანიტარული ორგანიზაცია სასიკვდილო განაჩენების რაოდენობას საუდის არაბეთის მთავრობის ოფიციალური მონაცემების მიხედვით 2015 წლის შემდეგ აღრიცხავს. მას შემდეგ 2019 წლის მაჩვენებელი რეკორდულია. შედარებისთვის, 2014 წელს საუდის არაბეთში სასიკვდილო განაჩენი 88 მსჯავრდებულის წინააღმდეგ აღასრულეს. ამასთან ერთად, 2020 წლის პირველ თვეში საუდის არაბეთში უკვე ოთხი მსჯავრდებული დასაჯეს სიკვდილით.

სავაჭრო შეთანხმებას ხელი მოაწერეს

ვაშინგტონში ხელმოწერის ცერემონიაზე აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა განაცხადა, რომ დოკუმენტი ნამდვილი გარღვევაა. ჩინეთმა პირობა დადო, რომ ამერიკიდან იმპორტს 200 მილიარდი დოლარით გაზრდის, სანაცვლოდ კი აშშ დამატებითი ტარიფების ნაწილს გააუქმებს.

მხარეები აცხადებენ, რომ ახალი შეთანხმება მოლაპარაკებების პირველ ფაზას აჯამებს. მდგომარეობის განმუხტვაზე მუშაობა მეორე ფაზის ფარგლებში გაგრძელდება. აშშ-სა და ჩინეთს შორის სავაჭრო ომი 2018 წლიდან მიმდინარეობს.

ტრამპის იმპიჩმენტის საქმე სენატს გადასცეს

აშშ-ის წარმომადგენელთა პალატამ პრეზიდენტ დონალდ ტრამპის იმპიჩმენტის საქმის სენატში გადაცემას მხარი დაუჭირა.

გამოცემის ინფორმაციით, კენჭისყრაზე საქმის სენატში გადაცემას მხარი 228 კონგრესმენმა დაუჭირა, წინააღმდეგი კი 193 აღმოჩნდა. კენჭისყრამდე რამდენიმე საათით ადრე ცნობილი გახდა, რომ სენატში იმპიჩმენტის პროცესზე ბრალდების მხარეს დემოკრატი ადამ შიფი უხელმძღვანელებს. მანამდე კი დემოკრატიულმა პარტიამ კონგრესს იმპიჩმენტის საქმეზე ახალი მტკიცებულებები წარუდგინა.

◎ ლოზანა 2020

გმირობის ტოლფასი...

შვეიცარიაში **მიმდინარე ზამთრის მესამე ახალგაზრდულ ოლიმპიურ თამაშებზე ფიგურული ციგურაობის გუნდურ ასპარეზობაში მედლების ბოლო კომპლექტი გათამაშდა. ინდივიდუალური გამოსვლების შემდეგ, კენჭისყრის საფუძველზე, შემთხვევითი შერჩევის პრინციპით 8 გუნდი დაკომპლექტდა:** Courage, Determination, Discovery, Focus, Future, Hope, Motivation, Vision.

მათი ფორმირება შემთხვევითი შერჩევით, ინტერნაციონალური პრინციპის დაცვით მოხდა. თითოეული გუნდი წარმოდგენილი იყო ოთხივე კატეგორიიდან სხვადასხვა ქვეყნის ორი მოციგურავითა და ორი წყვილით. თანაბარი შანსების შესანარჩუნებლად თითოეულისთვის გათვალისწინებული იყო მათი შედეგი ინდივიდუალურ გამოსვლებში და თანაბარი რეიტინგის 15 ქვეყნის 32 მოციგურავის მიერ შესრულდა მხოლოდ თავისუფალი პროგრამები.

საქართველოს ფიგურისტებთან ერთად ოლიმპიური ოქროს მედლები მიიღეს ესტონეთის, რუსეთისა და იაპონიის სპორტსმენებმა. ესტონეთი ვაჟთა ერთეულებში იყო წარმოდგენილი, რუსეთი – გოგონათა ერთეულებში, იაპონია – ცეკვებში, საქართველო კი – წყვილებში.

8 გუნდის ექვსსაათიანი დაძაბული ასპარეზობა საქართველოსათვის ტრიუმფალური შედეგით დასრულდა, რადგან ლოზანის ოლიმპიადის ბრინჯაოს მედლის მფლობელი სპორტული წყვილი ალინა ბუტაევა და ლუკა ბერულავა გუნდური ასპარეზობის ოქროს მედლის მფლობელიც გახდა.

გუნდი „Courage“, რომლის შემადგენლობაში ალინა ბუტაევასა და ლუკა ბერულავასთან ერთად გამოდიოდა მოცეკვავე წყვილი იაპონიიდან უტანა იოშიდა – შინგო ნიშიამა, ერთეულებში რუსი ქსენია სინიცინა და ესტონელი არლეტ ლევანდი, ოლიმპიადის გამარჯვებულიც გახდა.

2020 წლის ზამთრის მესამე ახალგაზრდულ ოლიმპიურ თამაშებზე ქართველ სპორტსმენთა მიერ მოპოვებული ოქროსა და ბრინჯაოს მედლები ის ისტორიული მონაპოვარია, რომელიც ოქროს ასოებით ჩაიწერება ჩვენი ქვეყნის სასპორტო განვითარების მატიანეში.

ბეჟან დოლიძე

◎ ტრადიცია

„ჯაკოს“ სახელით

პოპულარულმა **კომენტატორმა ჯამლეტ ხუხაშვილმა რადიო „ჯაკოს“ საიუბილეო თარიღს, ტრადიციისამებრ, შარშანდელი სეზონის შედეგების მიხედვით არაოლიმპიურ სახეობებში ქვეყნის 10 საუკეთესო სპორტსმენის დაჯილდოების ცერემონია დაამთხვია.**

გამორჩეული ფედერაციები ჟურნალისტებმა გამოავლინეს, ხოლო მათ, შესაბამისად, საკუთარი რჩეულები დაასახელეს.

სასტუმრო „ბილტმორში“ გამართულ საზეიმო ღონისძიებას უხვად ესწრებოდნენ დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები, კულტურის მოღვაწენი, აგრეთვე დედაქალაქის მერიისა და ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ჩინოსნები.

უძლიერესთა ათეული: ვახტანგ ჩიდრაშვილი (სამბო), მერი არაბიძე (ჭადრაკი), ლუკა შონია (კიკბოქსინგი), კოტე ჯანაშია (უძლიერეს მამაკაცთა ფედერაცია), გიორგი კვესელაძე (რაგბი), ონისე ბუღაძე (ქართული ჭიდაობა), დავით გულისაშვილი (უშუ), ზურაბ თავბერიძე (მკლავჭიდი), ლუკა ბრეგვაძე (პანკრატიონი), შოთა თოფურია (ფუტსალი).

როსტომ რაჭველიშვილი

◎ რაგბი

დე ბრუინის ვარიანტი

საქართველოს **მორაგბეთა ნაკრებს სვის დე ბრუინი გაწვრთნის. „პირველი არხის“ ინფორმაციით, იმ შემთხვევაში, თუ რაგბის კავშირის საპრეზიდენტო არჩევნებში 30 იანვარს გოჩა სვანიძე გაიმარჯვებს, „ბორჯღალოსნებს“ სამხრეთაფრიკელი სპეციალისტი ჩაიბარებს.**

59 წლის მწვრთნელს აქამდე „შარკსის“, „ვაილდბისთზის“, „გრივქაზისა“ და „ლაიონზის“ რიგებში უმუშავია, ბოლოს კი მშობლიური ნაკრების კონსულტანტი იყო.

სვანიძის გამარჯვების შემთხვევაში დე ბრუინი საქართველოს ნაკრების თავკაცი მაისიდან გახდება. შეგახსენებთ, რომ „ბორჯღალოსნებს“ 2011 წლიდან მილტონ ჰეიგი ავარჯიშებდა, მაგრამ ახალზელანდიელმა მსოფლიო თასის შემდეგ საქართველო დატოვა.

კობა კობახიძე

◎ „ღმერთის ხელი“

არავითარი შენდობა!

პიტერ შილტონი **დიეგო მარადონაზე ძალიან გაბრაზებულია და არ აპირებს, რომ მსოფლიო ჩემპიონატის მეოთხედფინალში გატანილი გოლი აპატიოს. თითქმის 34 წელი გავიდა არგენტინა - ინგლისის ცნობილი დაპირისპირებიდან და მარადონას ორი ისტორიული გოლიდან.**

ერთ-ერთი დიეგომ ხელით გაიტანა, მაგრამ ალჟირელმა მსაჯმა ეს ვერ შენიშნა და ჩათვალა. თავად არგენტინელმა ამ ეპიზოდს სახელიც დაარქვა – „ღმერთის ხელი“. ინგლისელთა კარს მაშინ პიტერ შილტონი იცავდა, რომელიც დღემდე ნაწყენია მარადონაზე და Guardian-თან ინტერვიუში განაცხადა, რომ მას პატივს არ სცემს.

„მარადონას პატივს არ ვცემ და არ ვაპატიებ. როგორ შეიძლია ეს? ეს არ არის პირადი საქმე. ჩვენ მისი ტყუილის მსხვერპლნი გავხდით.

ჩემი ხელი ბურთთან უფრო ახლოს იყო, ვიდრე დიეგოს თავი, ამიტომაც მას ხელით შეეხო. გამიგია, რომ ამბობდნენ, ის შენზე მაღლა ახტაო. ასე არაა, მან, უბრალოდ, იცრუა.

მარადონამ ეს აღიარა და „ღმერთის ხელი“ დაარქვა... არავითარი ბოდიში, არავითარი სინანული. ხალხს ახლა VAR-თან პრეტენზიები აქვს, მაგრამ, ვფიქრობ, ვიდეორეფერი ჩვენთვისაც უნდა ყოფილიყო და ემუშავა“, – თქვა შილტონმა.

გიორგი ზოთაძე

◎ ჩოგბურთი

ავსტრალიის **ღია ჩემპიონატის კენჭისყრით გაირკვა, თუ ვინ იქნება ქართველ ჩოგბურთელ ნიკოლოზ ბასილაშვილის პირველი მეტოქე წლის სასტარტო დიდ სლემზე.**

კორეელით იწყებს

„ჯვაროსანი“, რომელიც ტურნირზე 26-ე ნომრად არის განთესილი, პირველ წრეში 22 წლის კორეელ სუნუ ქვონს გამოცდის, რომელიც მსოფლიოს 83-ე ჩოგანი გახლავთ. ისინი აქამდე არასდროს შეხვედრიან ერთმანეთს.

ნიკოლოზმა ავსტრალიის შარშანდელ ღია ჩემპიონატში 2 ეტაპი გადალახა და, შესაბამისად, ქულებიც დასაცავი აქვს. 2019 წლის გათამაშებაში ბასილაშვილი მესამე წრეში მსოფლიოს უკვე მე-7 ჩოგან, ბერძენ სტეფანოს ციციპასთან 4 სეტში დამარცხდა – 3:6, 6:3, 6:7, 4:6. წელს კი, სულ მცირე, იმავე შედეგის გამეორება არ უნდა გაუჭირდეს, რადგან მეორე წრეში გასვლის შემთხვევაში მისი სავარაუდო მეტოქე ვეტერანი ესპანელი ფერნანდო ვერდასკო იქნება.

ავსტრალიის ღია ჩემპიონატი 20 იანვარს დაიწყება და 2 თებერვლამდე გასტანს. მისი სრული საპრიზო ფონდი 49,564,735 დოლარი იქნება.

მანუჩარ გიორგაძე

◎ რეკორდი

კარლსენის მიღწევა

29 წლის ნორვეგიელმა დიდოსტატმა მაგნუს კარლსენმა ნიდერლანდებში გამართულ ტურნირზე მასპინძელ იორდენ ვან ფორესტომთან ყაიმი ითამაშა და წაუგებელი პარტიების რიცხვი 111-მდე გაზარდა. აქამდე მიღწევა 110 მატჩი იყო, რომელიც ამჟამად ჰოლანდიაში მცხოვრებ რუს სერგეი ტივიაკოვს ეკუთვნოდა. კარლსენი, რომელიც მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონია კლასიკურ ჭადრაკში, ბლიცსა და რაპიდში, რეიტინგშიც პირველ ადგილს იკავებს, თუმცა, მისი მისამართით მხოლოდ ერთი შეკითხვა გაისმის: არის კი ნორვეგიელი ყველა დროის საუკეთესო მოჭადრაკე?

ვიტალი ჯაფარიძე

ჩვენებურები

რევოლუცია, რომელსაც ყველანი „გულით“ ველით!..

გულ-სისხლძარღვთა დაავადებების მიზეზით სიკვდილიანობა მთელ მსოფლიოში ერთ-ერთი უპირველესია, ამდენად, სულაც არ არის გასაკვირი, რომ კარდიოლოგიაში ნებისმიერ ახალ სიტყვას მილიონობით ადამიანი გულისფანცქალით ელის. ამ მხრივ ბოლო გლობალური სიახლე ისაა, რომ გულთან დაკავშირებული მრავალი ავადმყოფობის დასაძლევად, აუცილებელი არაა ურთულესი ქირურგიული ჩარევა: საამისოდ საჭიროა საქმის უზადო ცოდნით შერჩეული მედიკამენტოზური მკურნალობა.

სწორედ ამ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე გვესაუბრება ჩვენი თანამემამულე, ცნობილი კარდიოლოგი, მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო კლინიკის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო ნაწილში, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი სიმონ მაწკეპლიშვილი.

— მათთვის, ვისაც გულთან დაკავშირებული პრობლემები აქვთ, **მაგარი სპირტიანი სასმელების** მიღება, რომლებიც არტერიულ წნევას მაღლა სწევენ, არანაირად არ შეიძლება. თუმცა კი ერთი ან ორი ფუჟერი შუშხუნა ღვინის წინააღმდეგნი კარდიოლოგები ნამდვილად არ ვართ, ოღონდ იმ პირობით, თუ კი პაციენტი იღებს სწორად შერჩეულ ჰიპოთენზიურ თერაპიას. საქმე ისაა, რომ ეთილის სპირტის 10-15 მილილიტრი, რომელსაც ფუჟერი შამპანური შეიცავს, პრეპარატების უმეტესობასთან თავსებადია.

გულთან დაკავშირებით პრობლემების მქონე პაციენტებისთვის ასევე მეტად მნიშვნელოვანია **ამინდი**. ცივ ამინდში, გულის შეტევათა და სხვა მწვავე მდგომარეობათა ოდენობა 35-40 პროცენტით მატულობს. მაგრამ, უნდა გვახსოვდეს, რომ **სწორად შერჩეული მკურნალობის პირობებში, კაცი თავს კარგად უნდა გრძნობდეს ამინდისა და წლის დროის მიუხედავად, რაც სავსებით რეალურად შესრულებადი ამოცანაა.**

ბოლო მონაცემებით, **ქირურგიული ჩარევაც კი ყოველთვის არ იძლევა ისეთ საიმედო, განსაჭვრეტ და სტაბილურ შედეგებს, როგორც ოპტიმალური მედიკამენტოზური თერაპია.**

შარშან ნოემბერში ფილადელფიაში (აშშ) ჩატარებულ კარდიოლოგიურ კონგრესზე ათწლიანი გამოკვლევის შედეგები გამოაქვეყნეს. მიღებულმა შედეგმა, ჩემი აზრით, საბოლოოდ დაამტკიცა, რომ **არც კორონარული არტერიების, არც აორტო-კორონარული შუნტირება არ ამცირებს სიკვდილიანობას და არ ახანგრძლივებს სიცოცხლეს გულის იშემიური დაავადების დროს, რომელიც გულის სისხლძარღვთა სნეულებებს შორის ლეტალური დასასრულის უმთავრესი მიზეზია.**

სტენტების ჩაყენებით ჩვენ სნეულების მოტყუებას ვცდილობთ, როცა ვშველით მის ადგილობრივ გამოვლინებას (კორონარული არტერიების შევიწროებას), მაგრამ, ამავე დროს, უმძიმეს ტრავმას ვაყენებთ გულის სისხლძარღვებს. თანაც ეს ხდება მაშინ, როცა შესაბამის პრეპარატებს ავადმყოფობის უშუალო მიზეზზე ეფექტიანად ზემოქმედება შეუძლიათ.

არადა, ისიც უნდა ვიცოდეთ, რომ სტენტებზე ერთიანად უარის თქმა არ შეიძლება. ისინი იმ პაციენტებისთვისაა საჭირო, რომლებსაც არ სურთ აბების მიღება (უამრავი ადამიანი შეცდომით მიიჩნევს, რომ მაღალ არტერიულ წნევასა და ქოლესტერინზე უფრო საშიში „ქიმიაა“), ანდა არ შეუძლიათ მათი მიღება (მაგალითად, ბრონქიალური ასთმით დაავადებულებს). არიან ისეთი პაციენტებიც, ვისაც აბები გულის ტკივილს არ უხსნით. გარდა ამისა, სტენტირების აბსოლუტური მაჩვენებელია მიოკარდის მწვავე ინფარქტი (როცა თრომბი კეტავს კორონარულ არტერიას).

დანარჩენ შემთხვევებში კი მედიკამენტოზური თერაპია უზრუნველყოფს საიმედო და მტკიცე შედეგს პრაქტიკული გართულებებისა და მომყოლი ეფექტების გარეშე. **მოკლე დროში კლინიკურ რეკომენდაციებში მოხვდება ასევე პრეპარატების ახალი კლასი, რომელთაც უკვე უწოდეს „რევოლუცია კარდიოლოგიაში“.**

ესენია ის პრეპარატები, რომელთაც ამჟამად შაქრიანი დიაბეტის მკურნალობისას იყენებენ. მაგრამ, მათ აქვთ პირველი ხაზის პრეპარატებად გახდომის ყველა შანსი, რომელნიც კარდიოლოგიურ პაციენტთა სამკურნალოდ გამოიყენება.

უკვე ათი წელია, რაც ყველა ახალი დიაბეტის საწინააღმდეგო წამალი გულის სისხლძარღვებისთვის უსაფრთხოების ტესტს გადის. აღმოჩნდა, რომ დიაბეტის სამკურნალოდ განკუთვნილი პრეპარატების ორი კლასი, მეტად სერიოზულად (26 პროცენტით) ამცირებს გულის სისხლძარღვთა დაავადების მიზეზით სიკვდილიანობას. **„კლასიკური“ კარდიოლოგიური პრეპარატებისგან განსხვავებით, რომლებიც მოქმედებას თვეებისა და წლების შემდეგ იწყებენ, ისინი მიღების პირველსავე დღეებიდან აქტიურად მოქმედებენ.**

ამდენად, დღესდღეობითაც ექიმებს იმის საკმაო ცოდნა და გამოცდილება აქვთ, რომ პაციენტს ოპერაციის გარეშე დაეხმარონ, **ათი წლის შემდეგ კი ადამიანები ინფარქტის მიზეზით აღარ გარდაიცვლებიან.**

ეს იმას სულაც არ ნიშნავს, რომ ეს ავადმყოფობა საერთოდ გაქრება, ინფარქტები, სამწუხაროდ, მუდამ იქნება, მაგრამ ისინი სასიკვდილო საფრთხის შემცველები აღარ იქნებიან. მათი მიზეზით სიკვდილიანობა დღესაც კი შეიძლება მნიშვნელოვნად ნაკლები იყოს.

ევროპის სტატისტიკის სააგენტოს მონაცემებით, ინფარქტის მიზეზით სიკვდილიანობის ორი მესამედის თავიდან აცილება ექიმებს შეეძლოთ, მათ ხელთ თუნდაც ამჟამად არსებული წამლები და ტექნოლოგიები ჯეროვნად და დროულად რომ გამოეყენებინათ. ათ წელიწადში კი გვექნება ცოდნა, რომლის დახმარებითაც ყველა პაციენტის შველას შევძლებთ.

დღესდღეობით, მსოფლიოს ყველა ქვეყანაში, პაციენტები მიოკარდის ინფარქტისგან იღუპებიან ძირითადად დაგვიანებული სამედიცინო დახმარების გამო. გულის კატასტროფის კლასიკური ნიშნების გამოვლენის შემთხვევაში კი, ისინი მას სხვა დაავადების გამოვლინებად მიიჩნევენ. ამიტომაც, მეტად მნიშვნელოვანია ინფარქტის ნიშნების გამოცნობა და, რაც მთავარია, სამედიცინო დახმარების მისაღებად დროულად მიმართვა. ამდენად, **ინფარქტის წამყვანი ნიშანია ტკივილები მკერდში, რომელთაც მოჭერის, წვის შეგრძნებები ახლავს და რომლებიც არ გადის წამლის მიღების შემდეგაც; 2. ძლიერი სისუსტე, შფოთვა, ჰაერის უკმარისობის შეგრძნება; 3. სიფითრე, ცივი ოფლი, ხუთვა; 4. პირღებინება, მუცლის ტკივილი (საკვებით მოწამვლის მსგავსი სიმპტომები).**

გახსოვდეთ: ინფარქტზე ოდნავი ეჭვის შემთხვევაშიც კი გამოიძახეთ სასწრაფო სამედიცინო დახმარება. მის მოსვლამდე კი ავადმყოფი წამოაწვინეთ, შეუხსენით საკინძე, უზრუნველჰყავით ჰაერის მიწოდება. ასევე შეიძლება აბი ნიტროგლიცერინის მიცემა.

დრო, რომლის განმავლობაში სამედიცინო დახმარების გაწევა ყველაზე ეფექტიანია (ანუ ეგრეთ წოდებული „თერაპიული ფანჯარა“) ინფარქტის დროს, რამდენიმე საათს შეადგენს.

ძალიან ბევრს აინტერესებს, შესაძლებელია თუ არა დღესდღეობით მაღალი წნევისგან სამუდამოდ განკურნვა თუ ჰიპერტონიის მხოლოდ გაკონტროლება ხერხდება?

პასუხი ასეთია: შესაძლებელია ერთიც და მეორეც. ზოგჯერ, ჰიპერტონიისგან თავის დასაღწევად, საკმარისია მხოლოდ მისი გამომწვევი მიზეზის მოცილება, ვთქვათ, სხეულის მასის ნორმალიზება, ანდა მარილის მოხმარების შემცირება. ძალიან კარგ შედეგს იძლევა ფიზიკური დატვირთვა, რომელიც ხშირად აბებსა და ოპერაციებზე უფრო ეფექტიანია. მაგრამ, უბედურება ისაა, რომ პაციენტთა უმეტესობას არ სურს ცხოვრების ნირის შეცვლა. ამ შემთხვევაში კი საჭირო ხდება ჰიპერტონიის მარეგულირებელი აბების მიღება. მაგრამ, ასეთ დროს პაციენტი მზად უნდა იყოს იმისათვის, რომ მათი მიღება მთელი ცხოვრების მანძილზე მოუწევს. პრეპარატების მიღების შეწყვეტის შემთხვევაში წნევა კვლავ იმატებს, თანაც ხშირად უწინდელზე უფრო მეტადაც.

ამჟამად დიდ იმედებს ვამყარებთ რეგენერაციულ მედიცინაზე და, მიუხედავად იმისა, რომ უჯრედის ტექნოლოგიების დონეზე კარდიოლოგიურ პაციენტებში მისი წარმატებით გამოყენების მაგალითები ჯერჯერობით არა გვაქვს, სამუშაოები ამ მიმართულებით გრძელდება და საკმაოდ იმედისმომცემი შედეგებიც არის. ყველანი კვლავ ახალი გამოკვლევების მოლოდინში ვართ, ვინაიდან ამჟამად ჩვენ სნეულების მოტყუებას ვცდილობთ, რეგენერაციული მედიცინა კი, არსებითად, მისგან სრულად განკურნების ერთადერთი გზაა.

მოამზადა
ოთარ ტურაგელიძემ

ცხოველთა მონიტორინგის სააგენტო ცოფთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს

ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს მონაცემებით, ბოლო ერთი თვის განმავლობაში სოფელ დიღომში და ვაზისუბნის დასახლებაში გამოვლინდა ცოფის ვირუსის ორი შემთხვევა.

„ცხოველთა მუნიციპალურ თავშესაფარში გადაყვანილი ძაღლების ბუნებრივი ლეტალობის შემდეგ, ცოფის ვირუსის გამოსავლენად, ცხოველების პათოლოგიური მასალა გადაიგზავნა სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორიაში. მასალის კვლევის შედეგად დადასტურდა ცოფის ვირუსის არსებობა. აღსანიშნავია, რომ ვირუსი ორივე შემთხვევაში პატრონიან ძაღლს გამოუვლინდა.

ცხოველთა მონიტორინგის სააგენტო ცხოველების მეპატრონეებს მოუწოდებს, საკუთრებაში მყოფ შინაურ ცხოველებს (ძაღლი, კატა) ჩაუტარონ ანტირაბიული ვაქცინაცია, პირველ ჯერზე 3 თვის ასაკში და შემდეგ, ყოველწლიურად.

განსაკუთრებით საყურადღებოა ანტირაბიული ვაქცინაციის დროულად ჩატარების აუცილებლობა მონადირე ჯიშის ძაღლების შემთხვევაში, რომლებიც უშუალო შემხებლობაში არიან გარეულ ცხოველებთან.

ანტირაბიული ვაქცინაცია უმნიშვნელოვანესი ღონისძიებაა როგორც შინაურ ცხოველებში ცოფის მიმართ მდგრადი იმუნური სისტემის ჩამოყალიბებისა და ვირუსის პრევენციისათვის, ასევე მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვისთვის.

2019 წელს თბილისში ცოფის ვირუსის ექვსი, ხოლო მიმდინარე წელს ერთი შემთხვევა გამოვლინდა. ცოფის ვირუსთან ბრძოლის პროფილაქტიკურ-საკარანტინო ღონისძიებებს ერთობლივად განახორციელებენ სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო და ქალაქ თბილისის მერიის ცხოველთა მონიტორინგის სააგენტო, მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით“, — აღნიშნულია სააგენტოს განცხადებაში.

სანთელი

გამოვხატავთ ღრმა მწუხარებას და თანავუგრძნობთ მეუღლეს, ქალბატონ ეთერ შარაბიძეს, შვილებს შავლეგს და ბაქარს ოჯახებით, ჩვენი უახლოესი მეგობრის, თანაჯგუფელის, ნიჭიერი, გონიერი პიროვნების, ქართული სიმღერების უბადლო შემსრულებლის და დიდი მეხოტბის, ღირსეული მამულიშვილის

მურმან მაჭარაშვილის

გარდაცვალების გამო.

პანაშვიდი 16, 17 I, 17 სთ. გამოსვენება 18 I, 14 სთ. ვაჟა-ფშაველას 90 (VII კვარტალი, I კორპუსი, VI სადარბაზო, III სართული.

მეგობრები: ვალერი ასათიანი, მერაბ ახობაძე, გიზო გაძანიძე, ამირან ბოდოკია, მარიანა ბობროვა-ოიკაშვილისა, თამაზ გაგუნია, ლია დათეგაშვილი, სანდრო დიდებულიძე, გურამ დგებუაძე, სულიკო თაბაგარი, თემურ თოფურიძე, ომარ კაჭარავა, ჯემალ კუხალაშვილი, თინა მაკალათია-შუბითიძისა, შოთა ნათენაძე, გიორგი სალუქვაძე, გენრი ფრანგულაიშვილი, დალი ქებაძე-ტაბატაძისა, ვალერი შამათავა, გრიგოლ შონია, ვაჟა შუბლაძე, ვიტალი ღლონტი, რამაზ ხუროძე.

სალომე ჯიქია მარტინ სკორსეზეს ფილმში

მარტინ სკორსეზემ ქართველი საოპერო მომღერალი სალომე ჯიქია ახალ დოკუმენტურ ფილმში გადაიღო. ფილმის სახელწოდებაა The Oratorio.

ფილმი ამერიკულ-იტალიური კოპროდუქციაა და ის 2019 წელს ნიო-იორკში, წმინდა პეტრეს ტაძარში გადაიღეს. ფილმის პრემიერა იანვრის ბოლოს იგეგმება.

ფილმში სკორსეზე იკვლევს, თუ როგორ იმოქმედა ამერიკულ კულტურასა და საზოგადოებაზე, მათ ჩამოყალიბებაზე ემიგრანტების ხელოვნებამ და კულტურამ.

სალომე ჯიქია 1986 წელს ზუგდიდში დაიბადა. 2010 წელს მან თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია დაამთავრა, 2013-2014 წლებში კი სწავლა სანტა სესილიას ეროვნული აკადემიის საოპერო სტუდიაში (რომი) განაგრძო. ხუთი წლის შემდეგ მისი დებიუტი მოცარტის ოპერა „ფიგაროს ქორწინებაში“ შედგა, სადაც როსინას როლი შეასრულა.

წიგნები არასრულწლოვანთა დაწესებულებისთვის



საქართველოს პირველი არხის გადაცემა „წიგნების თარო“ ოთხი წლისაა. რეიტინგული და მასშტაბური პროექტის პირველი გადაცემა ეთერში 2016 წლის 16 იანვარს გავიდა. ამ ოთხი წლის განმავლობაში შედგა შვიდი სასკოლო და სამი სტუდენტური სეზონი.

პროექტში მონაწილეობა მიიღო 600-ზე მეტმა მოსწავლემ და სტუდენტმა. კემბრიჯში უკვე იყო 23 ახალგაზრდა, წელს კი კიდევ 15 გაემგზავრება.

შოუმ მოახერხა, დაემკვიდრებინა სოციალური პასუხისმგებლობის მქონე გადაცემის სახელი და გამხდარიყო საქართველოს ყველაზე მნიშვნელოვანი ახალგაზრდული პროექტი.

დაბადების დღესთან დაკავშირებით, „წიგნების თარო“ კიდევ ერთ სოციალურ აქციას გამართავს — „წიგნები არასრულწლოვანთა კოლონიისთვის“. მთელი დღის განმავლობაში, დაბადების დღესთან დაკავშირებული ღონისძიების პარალელურად, ნებისმიერ მსურველს შესაძლებლობა ექნება, „წიგნების თაროს“ საქველმოქმედო აქციაში ჩაერთოს და არასრულწლოვან მსჯავრდებულებს წიგნები აჩუქოს.

შეძლებენ ზვავის წინასწარ მართვას

გუდაურში საზვავე უსაფრთხოების სისტემა განლაგდება. სპეციალურად ამისთვის საქართველოში ფრანგი და გერმანელი სპეციალისტები ჩამოვიდნენ. ახალი ტექნოლოგიის დანერგვის შემდეგ გუდაურში ზვავის წინასწარ მართვის შესაძლებლობა ექნებათ.

დანადგარები სატესტო რეჟიმში უკვე გამოსცადეს. პროცესს საფრანგეთიდან და გერმანიიდან ჩამოსული ექსპერტები ხელმძღვანელობდნენ. როგორც მთის კურორტების განვითარების კომპანიაში აცხადებენ, ამ პრაქტიკის დანერგვა საქართველოში არა მარტო უსაფრთხოდ სრიალის შესაძლებლობას გააჩენს, არამედ სასრიალო დღეების რაოდენობასაც გაახანგრძლივებს.

ლუვრი – ყველაზე პოპულარული მუზეუმი

პარიზის ლუვრს მსოფლიო მუზეუმებს შორის 2019 წელს ყველაზე მეტი დამთვალიერებელი ჰ ყავდა.

მას გასულ წელს 9,6 მილიონი ადამიანი ესტუმრა. 2018 წელს კი 10 მილიონი. 400 ათასით დამთვალიერებლების შემცირება პარიზში მიმდინარე საპროტესტო აქციებს უკავშირდება. გამოცემის ცნობით 2019 წელს მუზეუმის სტუმრების 25%-ს ფრანგები შეადგენდნენ. ძირითადად მუზეუმის დასათვალიერებლად ვიზიტორები აშშ-დან, ჩინეთიდან და ევროკავშირის ქვეყნებიდან: ესპანეთიდან, გერმანიიდან, იტალიიდან და ბრიტანეთიდან ჩავიდნენ.

მსოფლიოს ყველაზე პოპულარული მუზეუმების ხუთეულში ლუვრის გარდა შედის აშშ-ში, ვაშინგტონში მდებარე ისტორიის ნაციონალური მუზეუმი, ჩინეთის ნაციონალური მუზეუმი პეკინში, ასევე ვაშინგტონში ასტრონავტიკის მუზეუმი და ბრიტანეთის ისტორიულ-არქეოლოგიური მუზეუმი ლონდონში.

ლუვრში 300 ათასზე მეტი მსოფლიოში ცნობილი ექსპოზიციაა გამოფენილი. მათ შორის ლეონარდო და ვინჩის „მონა ლიზა“.

ჩოგბურთის ვარსკვლავები ავსტრალიელებს ეხმარებიან

ლეგენდარულმა ჩოგბურთელებმა რაფაელ ნადალმა და როჯერ ფედერერმა ავსტრალიაში ტყის ხანძრებით დაზარალებული მოსახლეობის დახმარების ფონდში 225 ათასი ავსტრალიური დოლარი გადარიცხეს, რაც 172 ამერიკული დოლარის ეკვივალენტია.

გარდა ამისა, სპორტსმენებმა კოლეგებთან ერთად მელბურნში საქველმოქმედო ღონისძიებას გაუწიეს ორგანიზება. ღონისძიებაში სერენა უილიამსი, კაროლინა ვოზნიაცკი, ნოვაკ ჯოკოვიჩი და სხვა ცნობილი ჩოგბურთელებიც იღებდნენ მონაწილეობას.

გლობალური დათბობა და ორი ჩაძირული კუნძული

ინდონეზიის სამხრეთ სუმატრას პროვინციის ორი დაუსახლებელი კუნძული გლობალური დათბობის შედეგად ოკეანის დონის მატების გამო, მთლიანად წყლით დაიფარა.

კუნძულები ბეტეტი და გუნდული ამჟამად ზღვის დონის ქვემოთ იმყოფებიან.

ორგანიზაცია „გარემოს დაცვის ფორუმის“ წარმომადგენელი ჰაირულ სობრი აცხადებს, რომ გაქრობის საფრთხე სამხრეთ სუმატრას პროვინციაში შემავალ კიდევ ოთხ კუნძულს ემუქრება, მათგან ერთ-ერთი დასახლებული კუნძულია.

ინდონეზიური არასამთავრობო ორგანიზაციის ცნობით, წყლის ქვეშ აღმოჩენილ კუნძულ ბეტეტზე ინდონეზიის ეროვნული ნაკრძალი მდებარეობდა.

ინდონეზია მსოფლიოში უმსხვილეს არქიპელაგზე მდებარეობს, რომელშიც 18 ათასამდე კუნძული შედის.

მოგმართავთ გაზეთის მზრუნველთა საბჭოს სახელით

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 100 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.

გვჯერა, რედაქციის მიმართვას გამოეხმაურებიან ჩვენი ბიზნესმენ-ქველმოქმედნიც და გარკვეულ ფინანსურ დახმარებას გაუწევენ გაზეთს.

ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009.

(შპს „ახალი საუკუნე“ — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ა. ჩიქობავას (ყოფილი საბჭოს) ქუჩა №42/5
ტელ: 296-72-86
მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
599 36-00-35
პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24
გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20
uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.
ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

ყურადღება!
„საქართველოს რესპუბლიკის“ გამოსაწერად მიმართეთ:
„ელვა.ჯი“
577 991651
577 308847
შპს „მაცნე“
599 982777
„პლანეტა ფორტე“
579 799908

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.8862; ევრო - 3.2138;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.7509;
100 რუბლი - 4.6881; თურქული ლირა - 0.4899;
აზერბაიჯანული მანათი - 1.6970;
1000 სომხური დრამი - 6.0255.

ამინდი 17 იანვრისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	-11,	დღე	+6
მთიანი რაიონები -	ღამე	-11,	დღე	0
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+1,	დღე	+13
მთიანი რაიონები -	ღამე	-7,	დღე	+10
თბილისი:	ღამე	+2,	დღე	+6

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 296-72-86,
599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge